Эхинококкоз и сегодня создает серьезную угрозу для здоровья населения и остается опасным заболеванием, которое регистрируется не только у нас в Грузии, но и во всех странах мира. Анализ материалов Международного Комитета Экспертов ФАО/ВОЗ по борьбе с эхинококкозом за рубежом показывает, что обязательным компонентом всех проектов превенции данной инвазии является выявление ранних форм болезни, а также санитарное просвещение населения: разъяснение причин, путей заражения и возможные последствия [6, 10].

За последнее время, в Грузии, увеличилось количество случаев заболевания людей эхинококкозом, в том числе со смертельным исходом.

Своевременная диагностика эхинококкоза диктует необходимость применения доступных для широкой практики высокоспецифических серологических методов

лабораторной диагностики, таких как, реакции латекс-агглютинации (РЛА), иммуноферментный анализ (ИФА), реакция двойной диффузии в геле (Ouchterlony) и реакция пассивной гемагглютинации (РПГА).

Техническая простота и возможность выполнения реакции пассивной гемагглютинации в любых условиях дает основание рекомендовать ее для широкого применения в повседневной клинической практике.

С этой целью проведена работа по усовершенствованию технологии получения эхинококкового антигенного эритроцитарного (жидкого) диагностикума для применения в реакции пассивной гемагглютинации. Назначение препарата – экспресс-диагностика эхинококкоза у людей.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Наиболее существенными моментами в изготовлении диагностикумов являются: выбор подходящего способа стабилизации эритроцитов; выделение антигенов с высокой чувствительной способностью; подбор оптимального режима сенсибилизации эритроцитов антигенами.

Для стабилизации нативных эритроцитов нами был применен метод формализации эритроцитов по методу Маянского, в модифицированном виде [1].

Эффективность сенсибилизации формализированных и таннинизированных эритроцитов зависит от многих факторов – длительности обработки и концентрации сенситина (антигена), наличия электролитов, pH среды. Оптимальные условия достигаются определенными сочетаниями данных факторов и зависят от предварительной обработки эритроцитов и специфичности сенситина.

Поэтому, при получении конкретного диагностикума нужен подбор оптимальных условий, необходимых для данного препарата.

Свежие бараньи эритроциты, полученные в консерванте (раствор Олсвера), отмывали 5-6-кратно в 0,9% растворе хлорида натрия и консервировали с помощью формалина [3].

Перед приготовлением диагностикумов, эритроциты отмывали в 0,9% растворе хлорида натрия (pH-7,0-7,2) и ресуспендировали в свежей порции указанного раствора до концентрации 2,5%. К 2,5% суспензии добавляли равный объем танниновой кислоты (1:30000). Смесь выдерживали при 37 °С в течение 15-20 минут, затем отмывали в 1/15 М фосфатном буферном растворе. Осадок ресуспендировали в 0,9% растворе хлорида натрия и добавляли оптимальную сенсибилизирующую дозу сенситина. Рабочую дозу сенситина устанавливали в реакции диффузионной преципитации (реакция Ouchterlony), поставленной с заведомо положительной сывороткой крови при разных разведениях антигена. В качестве сенсибилизирующей дозы проводили разведение, дающее последнюю линию преципитации с положительными сыворотками крови. Количество белка в нативных эхинококковых антигенах должно быть не менее 0,6-1,5 мг/мл (по Лоури). Антиген получали из эхинококковой жидкости, извлеченной из эхинококковой цисты (пузыря), резецируемой во время операции как у людей, так и у инвазированных животных [12].

Эхинококковая жидкость, наиболее широко применяющаяся как антиген для общепринятых серологических реакций, имеет многокомпонентную антигенную систему и содержит как специфические, так и неспецифические компоненты. Для удаления неспецифического компонента были использованы биохимические, иммунохимические и хроматографические методы [11].

Таблица 1

**Эффективность реакции пассивной гемагглютинации
 в зависимости от серии нативных эхинококковых антигенов**

№	Ис	№с	N	Сыворотки				Примечание
				число сывороток от заведомо больных лиц		число сывороток от клинически здоровых лиц		
				всего сывороток	положительно реагировавших	всего сывороток	отрицательно реагировавших	
1	эхинококковые шисты от человека	1	9	6	6	3	-	
2		2	7	5	5	2	±	1 реакция сомнительная, титр 160
3		3	11	8	8	3	-	
4		4	9	6	6	3	-	
5		5	8	5	5	3	-	
6		6	10	6	6	4	-	
7		7	9	7	7	2	-	
8		8	6	4	4	2	-	
9		9	8	5	5	3	-	
10		10	11	9	8	2	±	1 реакция сомнительная, титр 160
			88	61	60	27	25	
				~ 98,36% ± ~1,63%		92,59% ± 7,40%		
1	эхинококковые шисты от овцы	11	9	7	7	2	-	
2		12	10	8	8	2	-	
3		13	8	5	5	3	-	
4		14	6	4	4	2	-	
5		15	9	7	6	2	±	1 сыворотка сомнительная, титр 160
6		16	7	5	5	2	-	
7			49	36	35	13	12	
				~97,22% ± 2,77 %		~92,30% ± 7,69%		

Примечания: Ис – источник эхинококковой жидкости, №с – номер серии диагностикума, N – общее число сывороток

Специфичность эхинококкового антигена обусловлена степенью зрелости и развития цисты паразита. Зрелые цисты антигенно более активны. Поэтому при острой и активной стадии развития паразита фиксируется высокая серологическая активность [1, 7]. Полученный эхинококковый антиген проверяли на активность и специфичность на сыворотках, давших заведомо положительные результаты (диагнозом, подтвержденным операцией) и на отрицательных сыворотках клинически здоровых людей. Одновременно, нами было проведено сравнительное исследование эффективности нативного антигена, выделенного из эхинококковой цисты (пузыря) человека и овцы, в реакции пассивной гемагглютинации. Полученные нами результаты совпадают с данными литературы [5, 8].

Из 10 серий диагностикумов, полученных с применением эхинококковых жидкостей, извлеченных из эхинококковых цист (пузырей) человека, 9 серий обладали достаточной антигенной активностью. Из 6 серий диагностикумов, в которых для сенсибилизации эритроцитов использовали антиген, полученный из эхинококковых цист (пузырей) овец, 5 серий обладали специфической активностью [1, 2]. Полученные данные суммированы в таблице 1.

Сравнение исследуемых серий эхинококковых диагностикумов по специфичности и активности показало, что диагностикумы, в которых эритроциты сенсибилизированы антигенами из эхинококковых цист человека и овцы, почти одинаковы $\sim 98,36\% \pm 1,63\%$ – $\sim 97,22\% \pm 2,77\%$. Таким образом, в качестве нативного антигена для сенсибилизации эритроцитов, может использоваться эхинококковая жидкость из эхинококковых цист как человека, так и овец. Однако, активность разных серий жидкостей бывает различна. Поэтому, каждая полученная серия эхинококкового антигена должна апробироваться на заведомо положительных и отрицательных сыворотках. В качестве антигена может использоваться эхинококковая жидкость, давшая положительную реакцию в разведении до 1:10240 и выше, с заведомо положительными сыворотками и отрицательную – с контрольными сыворотками клинически здоровых людей [1, 4, 9].

Подбирались такие сыворотки больных, которые давали реакцию в одинаково высоких титрах. Каждый диагностикум исследовали в среднем 5-6 раз.

Перед постановкой реакции пассивной гемагглютинации, сыворотки крови больных, подозреваемых на эхинококкоз, инактивировали в водяной бане при $t = 56^{\circ}\text{C}$ в течение 30 минут и адсорбировали эритроцитами барана с целью удаления гемагглютининов.

Реакцию пассивной гемагглютинации ставили и оценивали общепринятым методом.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

За 2007 год в лаборатории иммунологии было исследовано 480 сывороток крови больных, подозреваемых на эхинококкоз. Сыворотки были получены из разных районов Грузии, а также из соседних государств, в частности – Азербайджана и Армении.

Из 480 исследуемых сывороток крови, положительный титр получен у 451 больного, т.е. в 93,96% и отрицательный титр зафиксирован у 29 больных, т.е. в 6,04%.

Результаты исследования сывороток крови больных
с подозрением на эхинококкоз

№	Диагноз	N	(-) до 1/100	Реакция пассивной гемагглютинации положительная (+) в титрах								%±	%об
				1:160	1:320	1:640	1:1280	1:2560	1:5120	1:10240	1:20480		
1	Эхинококкоз на печени	267						22	98	68	79	~59,2	
2	Эхинококкоз на легких	138				26	28	36	25	23		~30,6	
3	Эхинококкоз на печени и легких одновременно	45							16	14	15	~9,98	
4	Эхинококкоз в миокарде лев. жел. сердца	1								1		~0,22	
Число сывороток крови с положительными титрами		451										100	93,96
5	Обызвествленный, погибший эхинококк	2		2									0,41
6	Опухоли легких и средостения	11	5	6									2,29
7	Цирроз печени	9	7	2									1,88
8	Холецистит	7	4	3									1,46
Число сывороток крови с отрицательными титрами		29											6,04
Общее число исследуемых сывороток крови		480											100

%± – процент от числа сывороток крови больных эхинококкозом, %об – процент от общего числа сывороток крови исследуемых больных, N – число сывороток крови исследуемых больных

Как видно из таблицы 2, среди 480 обследованных больных у 267 – эхинококкоз на печени; у 138 – эхинококкоз на легких; у 45 – эхинококкоз на легких и печени одновременно; у 1 – эхинококкоз в миокарде сердца (это уникальный случай, больной Макацарашвили З., семи лет, обратился к нам на исследование 19.07.2001. Киста находилась в миокарде левого желудочка сердца. Титр сыворотки крови составлял 1:320. Было предложено исследовать сыворотку крови в динамике – через каждые шесть месяцев, но больной, на повторное исследование обратился

спустя 6 лет. Титр сыворотки крови составлял в разведении 1:10240. Киста была размером 8,8 на 7,8 см. 21.12.2007 года была проведена успешная операция в Медицинском центре им. Джоенна). Поэтому, очень важно исследовать сыворотки больных в динамике, а также до и после операции, что позволяет оценить радикальность оперативного вмешательства – при высоких титрах и вовремя выявить рецидивы болезни. При рецидивах болезни титры реакции вновь нарастают.

Отрицательные титры в реакции пассивной гемагглютинации отмечались у 16 больных эхинококкозом (норма – 1:100), а у 13 больных титр составлял 1:160.

Последующими клиническими исследованиями у этих больных были установлены следующие диагнозы: 11 – злокачественные опухоли легких; 9 – цирроз печени; 2 – обызвествленный, погибший эхинококкоз; 7 – холецистит. Отрицательный титр обусловлен, по-видимому, понижением реактивности организма, а также изменениями в белковом составе сыворотки крови (увеличение количества альбумина и снижения содержания γ -глобулина), связанными с распадом паразитарного узла.

Неспецифические реакции, в основном, выявляются у лиц с поражениями печени (рак, непаразитарные цисты) [7, 10].

Резюмируя вышеизложенное, можно сказать, что изготовлен усовершенствованный препарат – диагностикум эхинококковый, эритроцитарный антигенный, жидкий, обладающий высокой активностью и специфичностью. Препарат может быть использован в реакции пассивной гемагглютинации в медицинской практике для экспресс-диагностики эхинококкоза.

Реакция пассивной гемагглютинации с эхинококковым эритроцитарным антигенным диагностикумом является достаточно эффективным методом для экспресс-диагностики эхинококкоза.

Разные серии эхинококкового антигена (сенситина), полученных из разных цист, обладают различной степенью активности, что обуславливает необходимость проверки каждой из серии на “заведомо” положительных и отрицательных сыворотках крови.

Реакция пассивной гемагглютинации дает возможность дифференцировать эхинококкоз от соматических болезней человека.

ЛИТЕРАТУРА

1. *Вардзелашвили Н., Бубаишвили М., Ригвава С., Гогоаишвили Д., Карухнишвили М., Ригвава К.* Труды Междун. н/к. клинич. госпиталя Ветеранов войны, Тбилиси, 2005, с. 80-84.
2. *Зорихина В.И., Баллад Н.Е.* Эхинококкозы, М., 1990, с. 49-62.
3. *Каральник Б.В.* Эритроцитарные диагностикумы. Москва, “Медицина”, 1976.
4. *Каримов Ш.И., Нишинов Х.Т., Ещанов А.Т., Дурманов Б.В.* Ж. хирургии им. Н.И. Пирогова, М., 1998, 7.
5. *Кузьмин Ю.А.* Актуальные проблемы медицины и здравоохранения. Сб. материалов, Алма-Ата, 1982, 52.
6. *Садыков В.М.* Эхинококкоз и борьба с ним. М., 1973, с. 4-6.
7. *Сергиев В.П.* Ж. Микроб., 1991, 10, 66.
8. *Шуйкина Э.Е.* Ж. медицинская паразитология, 1987, 5, 3-7.

9. *Dubinska P., Bober J., Kiniekov J.* Bratisl. Lek. Listy, 1998, 99, 11, 584-586.
10. *Gottstein B.* Parasite Immunol., 1985, 7, 201-212.
11. *Ouchterlony O.* Immunidiffusion and immunoelectrophoresis. Weir D.M. (Ed), Handbook of Experimental Immunology, Blackwell Scientific Publications, Oxford, Edinburgh, 1967.
12. *Schantz P., Gottstein B.* Echinococcosis (Hydatidosis), Immunodiagnosis of Parasitic Disease, 1986, v. 1, Helminthic Diseases/ Ed. Walls and Schantz. Academic Press, pp. 69-107.

პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქციის გამოყენება ექინოკოკოსის ქსპრეს-დიაგნოსტიკისთვის

*ნ. ვარძელაშვილი, მ. ბუბაშვილი, ს. რიგვავა, დ. გოგიაშვილი,
მ. ქარუხნიშვილი, ლ. ქავთარაძე*

ელიავას სახ. ბაქტერიოლოგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქციით ექინოკოკის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოვლენა და მათი რაოდენობრივი განსაზღვრა ექინოკოკოსზე საექსპრესივი პაციენტების სისხლის შრატში.

შემუშავებულია ექინოკოკის ერთობლივი დიაგნოსტიკუმის მიღების გაუმჯობესებული ტექნოლოგია.

კვლევის ფარგლებში ხდებოდა ადამიანისა და ცხვრის ექინოკოკის ბუშტებიდან გამოყოფილი ექინოკოკის სითხის შედარებითი ანალიზი, რის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე შემთხვევაში ექინოკოკის სპეციფიკურობა და ეფექტურობა თითქმის ერთნაირი იყო - 98,36%-97,22%. გამომდინარე აქედან, დიაგნოსტიკუმის დასამზადებლად სენსიტივად შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ადამიანის, ასევე ცხვრის ექინოკოკის ცისტებიდან გამოყოფილი სითხე.

პასიური ჰემაგლუტინაციის რეაქცია წარმოადგენს სპეციფიკურ და მაღალმგრძობიარე სეროლოგიურ მეთოდს, რომელიც მარტივია გამოსაყენებლად და არ საჭიროებს ძვირადღირებულ აპარატურას. აღნიშნული მეთოდი ეფექტურია ექინოკოკოსის ექსპრეს-სადიაგნოსტიკოდ (შედეგი მიიღება 1,5-2 საათში). ამიტომ მიზანშეწონილია მისი ფართოდ გამოყენება შესაბამის სამედიცინო კლინიკურ ლაბორატორიებში.

IMPLEMENTATION OF PASSIVE AGGLUTINATION REACTION IN EXPRESS-DIAGNOSTICS OF ECHINOCOCCOSIS

*N. Vardzelashvili, M. Bubashvili, S. Rigvava, D. Gogiashvili, M. Karukhnishvili,
L. Kavtaradze*

Eliava Institute of Bacteriophagy, Microbiology and Virology, Tbilisi

SUMMARY

The article contains data on practical implementation of the passive agglutination reaction in express diagnostics of echinococcosis.

Echinococcus antigenic erythrocytic diagnosticum appears to be a main component of passive hemagglutination reaction.

Despite the methods of setting and evaluation of passive hemagglutination reaction are more or less unified, the technology of echinococcus erythrocytic diagnosticum obtaining still varies which appears to be a main reason of diverse results, received by different authors.

The goal of our investigation was an elaboration of technological parameters for the production of standard preparation – diagnosticum for revealing and quantitative determination of echinococcus antibodies in the infested organism in patients with a suspicion of echinococcosis in passive hemagglutination reaction.

Passive hemagglutination reaction is also used for the control of blood serum in the dynamics in patients at prophylactic treatment of the given invasion and revelation of new relapses.

ორბანიზმის უანგვა-აღდგენითი წონასწორობის ზოპიერობი მაჩვენებლის დინამიკა ინსულტის მფვავე პერიოდში და მათი კორელაცია მოტორული ფუნქციის მაჩვენებლებთან

ე. თათარაძე, ნ. ჭაბაშვილი, თ. სანიკიძე, მ. პაპავა,
 ზ. სოფროშაძე, თ. სვანიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 20.04.2008

უანგვითი სტრესის როლი ინსულტით გამოწვეული კლინიკური დარღვევების განვითარებაში შესწავლის პროცესშია. შესაძლოა არსებობდეს პირდაპირი კავშირი უანგვა-აღდგენითი წონასწორობის ნორმალიზაციას და კლინიკურ გაუმჯობესებას შორის.

შევისწავლეთ 64 პაციენტი ინსულტის მწვავე პერიოდში. პაციენტის კვლევაში ჩართვის მომენტში და მწვავე პერიოდის ბოლოს ვაფასებდით მოტორულ ფუნქციებს, ზოგად ფუნქციურ დამოუკიდებლობასა და უანგვითი მეტაბოლიზმის მაჩვენებლებს. მოტორულ ფუნქციებს ვაფასებდით მოტორიკის ინდექსის (MI) და მოძრაობის სიფართის (ROM) განსაზღვრის გზით, ფუნქციურ დამოუკიდებლობას – ბართელის ინდექსით (BI). რედოქს-სტატუსის შესაფასებლად ვიკვლევდით სისხლის პარამაგნიტურ ცენტრებს (Mn^{2+} , Fe^{2+} იონები, Fe^{3+} ტრანსფერინი, ცერულოპლაზმინი, მეტჰემოგლობინი) პრ-სპექტროსკოპიის მეთოდით და ანტიოქსიდანტური ფერმენტის სუპეროქსიდდისმუტაზას (ს¹OD) აქტივობას.

გამოვლინდა კორელაცია ს¹OD-ის აქტივობის ცვლილებას და სამივე კლინიკური პარამეტრის ცვლილებებს შორის. Mn^{2+} , პირიქით, უკუკორელაციურ დამოკიდებულებაშია სამივე კლინიკურ პარამეტრთან. Fe^{3+} ტრანსფერინის ეპრ-სიგნალის ინტენსივობის ცვლილება კორელაციურ კავშირშია MI-სა და BI-ს ცვლილებებთან, ხოლო ცერულოპლაზმინის სიგნალის ინტენსივობის ცვლილება უკუკორელაციურ კავშირშია MI-სა და BI-ს ცვლილებებთან. ამრიგად, ვლინდება კორელაციის საკმაოდ მაღალი ხარისხი უანგვა-აღდგენითი წონასწორობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას და მოტორული და ყოფითი ფუნქციების მაჩვენებლების გაუმჯობესებას შორის. ჩვენი აზრით, რედოქს-წონასწორობის ნორმალიზაცია ინსულტის შემდგომ პერიოდში დადებით გავლენას ახდენს კლინიკური გაუმჯობესების ხარისხზე.

საკვანძო სიტყვები: ინსულტი, მოტორიკის ინდექსი, მოძრაობის სიფართე, ბართელის ინდექსი, პრ-სპექტროსკოპია, სუპეროქსიდდისმუტაზა

მრავალი წლის განმავლობაში ითვლებოდა, რომ თავის ტვინის იშემიური დაზიანება პასიური პროცესია, რომელიც შედეგად მოყვება ნეირონების ჟანგბადით მომარაგების დაქვეითებას მათი სიცოცხლისთვის საჭირო ენერჯის პროდუქციისთვის აუცილებელ დონეზე ქვემოთ. მაგრამ დღეს არსებული ექსპერიმენტული მონაცემები [1, 4, 5, 6] მიუთითებს, რომ დაზიანების დიდი ნაწილი განპირობებულია აქტიური პროცესებით, რომელთაგან ბევრი იწვევს, ან პირიქით – შედეგად მოყვება თავისუფალი რადიკალების და სხვა რეაქტიული ოქსიდანტური ნაწილაკების პროდუქციას. ერთადერთი ანალიტიკური მიდგომა, რომელიც თავისუფალი რადიკალების პირდაპირი აღმოჩენის საშუალებას იძლევა, არის ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსული (პრ) სპექტროსკოპია. პათოლოგიური მდგომარეობის დროს ქსოვილების შეცვლილ რედოქს-წონასწორობას არაპირდაპირი გზით ასახავს ანტიოქსიდანტთა აქტივობაც [2, 3].

ჩვენ შევეცადეთ, გამოვვეკვლია ჟანგვითი სტრესის როლი ინსულტით გამოწვეული მოტორული დარღვევების განვითარებაში და შესაძლო კორელაცია ჟანგვა-აღდგენითი წონასწორობის ნორმალიზაციას და კლინიკური გაუმჯობესების ხარისხს შორის. ამ მიზნით შევისწავლეთ 64 პაციენტი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის დიაგნოზით. ყველა პაციენტს მედიკამენტური მკურნალობის პარალელურად უტარდებოდა ფიზიკური რეაბილიტაცია (მდებარეობითი მკურნალობა, მასაჟი, ვარჯიში, ელექტრული ნერვ-კუნთოვანი სტიმულაცია). მოტორულ ფუნქციებს, ზოგად ფუნქციურ დამოუკიდებლობასა და ჟანგვითი მეტაბოლიზმის მაჩვენებლებს ვაფასებდით პაციენტის კვლევაში ჩართვის მომენტში და მწვავე პერიოდის ბოლოს (21-ე დღე).

მოტორული ფუნქციებიდან ვაფასებდით: 1) კუნთურ ძალას. ზემო და ქვემო კიდურის ძირითადი კუნთების ძალას ვზომავდით მოტორიკის ინდექსის (MI) 100-ქულიანი სკალის მეშვეობით. 2) მოძრაობის სიფართეს (Range of Motion, ROM). სხვადასხვა სახსარში მოძრაობის სიფართე ფასდებოდა 0°-დან 180°-მდე სკალით და ისახდებებოდა მოტორული დეფიციტის პირობებში არსებული მოძრაობის სიფართის პროცენტული მიმართება ნორმასთან. ფუნქციურ დამოუკიდებლობას, ანუ ყოფითი აქტივობის უნარს ვაფასებდით Barthel-ის ინდექსით (BI), რომელიც მოიცავს 10 პუნქტს (სფინქტერების კონტროლი, კვება, ჩაცმა, დაბანა, თავის მოწესრიგება, საპირფარეშოთი სარგებლობა, გადაადგილება, სიარული, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა). თითოეულ პუნქტს ენიჭება ქულები 0-დან 2-მდე.

ორგანიზმის რედოქს-სტატუსის შესაფასებლად ვიკვლევდით: 1) სისხლის პარამაგნიტურ ცენტრებს (Mn^{2+} , Fe^{2+} იონები, Fe^{3+} -ტრანსფერინი, ცერულოპლაზმინი, მეტჰემოგლობინი) ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსული (პრ) სპექტროსკოპიის მეთოდით. 2) ანტიოქსიდანტური ფერმენტის სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ) აქტივობას ბიოქიმიურად.

მიღებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს ვაწარმოებდით კომპიუტერული პროგრამის GraphPad InStat v3 საშუალებით. კორელაცია კლინიკური და რედოქს-პარამეტრების ცვლილებებს შორის გავანალიზეთ Pearson-ისა და Spearman-ის კორელაციური ტესტების გამოყენებით.

გამოვლინდა კორელაცია ს(რ)დ-ის აქტივობის ცვლილებას და სამივე კლინიკური პარამეტრის ცვლილებებს შორის, ამასთან? MI-ს შემთხვევაში სარწმუნობის უმაღლესი ხარისხით. Mn^{2+} , როგორც თავისუფალი ჟანგვის პრომოტორი, პირიქით, უკუკორელაციურ დამოკიდებულებაშია სამივე კლინიკურ პარამეტრთან. ამ შემთხვევაშიც, სარწმუნობის ხარისხი ყველაზე მაღალია MI-სთან მიმართებაში. ანტიოქსიდანტური პოტენციალის მქონე Fe^{3+} -ტრანსფერინის მპრ-სიგნალის ინტენსივობის ცვლილება კორელაციურ კავშირშია MI-სა და BI-ს ცვლილებებთან, ცერულოპლასმინის სიგნალის ინტენსივობის ცვლილება კი (რომელიც მისი დაჟანგულობის ხარისხს ასახავს) უკუკორელაციურ კავშირშია MI-სა და BI-ს ცვლილებებთან (ცხრილი 1).

ცხრილი 1

კორელაცია კლინიკური და რედოქს-პარამეტრების ცვლილებებს შორის ინსულტის მწვავე პერიოდში

	MI	ROM	BI
ს(რ)დ	$r_p = 0,76$ ($p = 0,0001***$)	$r_{sp} = 0,47$ ($p = 0,04*$)	$r_p = 0,51$ ($p = 0,03*$)
Mn^{2+}	$r_p = -0,71$ ($p = 0,001**$)	$r_{sp} = -0,55$ ($p = 0,03*$)	$r_p = -0,56$ ($p = 0,03*$)
Fe^{3+} -ტფ	$r_p = 0,50$ ($p = 0,04*$)	$r_{sp} = 0,24$ ($p = 0,37; ns$)	$r_p = 0,60$ ($p = 0,02*$)
ცპ	$r_{sp} = -0,54$ ($p = 0,02*$)	$r_{sp} = -0,19$ ($p = 0,48; ns$)	$r_{sp} = -0,57$ ($p = 0,03*$)

r_p – კორელაციის კოეფიციენტი Pearson-ის ტესტის მიხედვით; r_{sp} – კორელაციის კოეფიციენტი Spearman-ის ტესტის მიხედვით; * – სარწმუნო შედეგი, $p < 0,05$; ** – სარწმუნობის მაღალი ხარისხი, $p < 0,01$; *** – სარწმუნობის უმაღლესი ხარისხი, $p < 0,001$; ns – არასარწმუნო შედეგი

ამრიგად, ჩვენ მიერ გამოვლენილია კორელაციის საკმაოდ მაღალი ხარისხი ერთი მხრივ, ჟანგვა-აღდგენითი წონასწორობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მეორე მხრივ კი მოტორული და ყოფითი ფუნქციების მაჩვენებლების გაუმჯობესებას შორის. ჩვენი აზრით, რედოქს-წონასწორობის ნორმალიზაცია ინსულტის შემდგომ პერიოდში დადებით გავლენას ახდენს კლინიკური გაუმჯობესების ხარისხზე.

ლიტერატურა

1. Braugher J.M., Hall E.D. Free Radic. Biol. Med., 1989, 6 (3), 289-301.
2. Gilgun-Sherki Y., Rosenbaum Z. et al. Pharmacol. Rev., 2002, 54, 2, 271-284.
3. Halliwell B., Gutteridge J.M. Arch. Biochem. Biophys., 1990, 280 (1), 1-8.
4. Love S. Brain Pathology, 1999, 9, 119-131.
5. Schmidley J.W. Stroke, 1990, 21 (7), 1086-90.
6. Traystamm R.J., Kirsch J.R., Koehler R.C. J. Appl. Physiol., 1991, 71, 1185-95.

ДИНАМИКА НЕКОТОРЫХ ПОКАЗАТЕЛЕЙ РЕДОКС-БАЛАНСА ОРГАНИЗМА В ОСТРОЙ СТАДИИ ИНСУЛЬТА И ИХ КОРРЕЛЯЦИЯ С ПОКАЗАТЕЛЯМИ ДВИГАТЕЛЬНОЙ ФУНКЦИИ

Э. Татарадзе, Н. Чабашвили, Т. Саникидзе, М. Папавა, З. Сопромадзе, Т. Сванишвили

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Изучена роль окислительного стресса в развитии клинических нарушений, вызванных инсультом. Возможно существование прямой связи между нормализацией окислительного статуса и клиническим улучшением.

Нами изучены 64 пациентов в острой стадии инсульта. В момент поступления и в конце острой стадии оценивались двигательные функции, исполнение повседневных активностей и редокс-параметры. Двигательная функция оценивалась путём измерения Индекса Моторики (MI) и Объёма Движения (ROM); повседневная активность – с помощью Индекса Бартеля (BI). Для оценки редокс-статуса мы изучили изменения парамагнитных центров крови [Mn^{2+} и Fe^{2+} ионы, Fe^{3+} -трансферин (Fe^{3+} -tf), церулоплазмин (CP), метгемоглобин] путём электронно-парамагнитной резонансной (ЭПР) спектроскопии, а также активность антиоксидантного фермента супероксиддисмутазы (SOD).

Выявилась прямая корреляция между изменениями активности SOD и изменениями всех трёх клинических параметров. Интенсивность сигнала Mn^{2+} была в обратной корреляции со всеми параметрами. Интенсивность сигнала Fe^{3+} -tf коррелировала с изменениями MI и BI, а изменение сигнала CP находилось в обратной корреляции с изменениями MI и BI. Итак, улучшение редокс-параметров в значительной степени коррелирует с улучшением двигательных и повседневных функций. Мы считаем, что нормализация редокс-баланса положительно влияет на клиническом улучшении больных инсультом.

DYNAMICS OF SOME INDICES OF REDOX BALANCE OF THE BODY IN ACUTE PHASE OF STROKE AND THEIR CORRELATION WITH MOTOR FUNCTION

E. Tataradze, N. Chabashvili, T. Sanikidze, M. Papava, Z. Sopromadze, T. Svanishvili

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The role of oxidative stress in the development of clinical impairment caused by stroke has been studied. There might be a direct relation between normalization of oxidative status and clinical improvement.

We investigated 64 acute stroke patients. Motor functions, performance of Activities of Daily Living (ADL) and redox parameters were assessed at admission and at the end of acute stage. Motor functions were assessed by Motricity Index (MI) and by measuring Range of Motion (ROM); ADL – by Barthel Index (BI). For the assessment of redox status we studied alterations of

blood paramagnetic centers [Mn^{2+} and Fe^{2+} ions, Fe^{3+} -transferrin (Fe^{3+} -tf), ceruloplasmin (CP), methemoglobin] by electron paramagnetic resonance (EPR) spectroscopy, as well as activity of antioxidant enzyme superoxide dismutase (SOD).

A direct correlation found between alterations of SOD activity and alterations of all clinical parameters was found. Intensity of Mn^{2+} signal was in invert correlation with all three parameters. Intensity of Fe^{3+} -tf signal correlated directly with MI and BI. CP signal was in invert correlation with MI and BI. Thus, improvement of redox parameters is in significant correlation with improvement of motor and ADL functions. We conclude that normalization of the redox balance has a positive influence on clinical improvement in stroke patients.

საშენ მასალათა მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობების გავლენა მათ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე

რ. კვერენჩხილაძე, ლ. ბაქრაძე, მ. ციმაკურიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 21.04.2008

საშენ მასალათა მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობები ხასიათდება საწარმოო გარემოსა და შრომითი პროცესის არახელსაყრელ ფაქტორთა კომპლექსით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, 2 წლამდე ასაკის ბავშვთა ფიზიკურ და ფსიქოფიზიოლოგიურ განვითარებაზე. ქალთა შორის დროებითი შრომის უნარობის მაჩვენებელი 1,3-ჯერ აღემატება მამაკაცთა მაჩვენებელს. გინეკოლოგიური ავადობის დონე 12%-ით აღემატება საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელს. ხშირია ორსულობისა და მშობიარობის გართულებები, აგრეთვე ახალშობილებისა და 2 წლამდე ასაკის ბავშვთა დაცვითი რეაქციების დათრგუნვის ნიშნები. კომპლექსური გამოკვლევებით შემუშავდა მრეწველობის შესწავლილი დარგის მუშათა შრომის პირობების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: საშენ მასალათა მრეწველობა, შრომის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ავადობა შრომის დროებითი უუნარობით, პროფესიული რეპროდუქტოლოგია, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები

პროფილაქტიკური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა [1, 2]. ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოებში არსებული შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დამუშავება შრომის მედიცინის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე ფართოდ განვითარდა სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, რამაც საშენი მასალებისა და

კონსტრუქციების მრეწველობის შემდგომი განვითარება განაპირობა. მრეწველობის ეს დარგი დღეს ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ ძირითადი და მნიშვნელოვანი დარგია. საქართველოში იგი წარმოდგენილია მისი თითქმის ყველა ძირითადი ქვედარგით – კერამიკის, სილიკატური, ცეცხლგამძლე და თიხის აგურის, ცემენტის, აზბესტოცემენტის და რკინაბეტონის ნაკეთობათა, ბეტონის ბლოკის, ქვიშის გამამდიდრებელი საწარმოებით. მათში ძირითად პროფესიებზე დასაქმებულია ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით, საერთო დასაქმებულთა 1/3. ამასთან, მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეპროდუქციული ასაკისაა.

თანამედროვე გართულებული დემოგრაფიული და ჰიგიენურ-ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში აქტუალური ხდება მომუშავე ქალისა და მისი შთამომავლობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის რაციონალიზაციის საკითხების გადაჭრა [4].

როგორც ამ დარგის საწარმოებში სხვადასხვა ავტორთა მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა, შრომის არახელსაყრელი პირობების გავლენა გარკვეულწილად აისახება წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე დასაქმებულ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მანვენებლების, მათ შორის რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევებში [3, 5]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მიმართულებით გამოკვლევები საქართველოში, ჩვენი ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებებისა და შრომის პირობების ფორმირებაში მათი როლის გათვალისწინებით, გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა და, შესაბამისად, ეს საკითხი შრომის მედიცინის მიმართულების სპეციალისტთა ყურადღებას მოითხოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის მიზანია საშენ მასალათა მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპების შემუშავება. ამ მიზნით ჩატარდა კომპლექსური ჰიგიენური, კლინიკურ-ფუნქციური და სტატისტიკური გამოკვლევები საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის ძირითადი ობიექტების ბაზაზე.

კვლევა ჩატარდა დინამიკაში 10 წლის განმავლობაში საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის ძირითად საწარმოებში (კერამიკის, აგურის, ცემენტის, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა, ბეტონის ბლოკის, აზბესტოცემენტის ნაკეთობათა, კვარცის ქვიშის გამამდიდრების წარმოებები). სულ შესწავლილი იყო დარგის 27 წარმოება და ტექნოლოგიური ხაზი საქართველოს ორ კლიმატურ-გეოგრაფიულ რეგიონში მშრალი (აღმოსავლეთი საქართველო) და ნოტიო (დასავლეთი საქართველო) სუბტროპიკული კლიმატით.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლისთვის გამოკვლეული იყო აღნიშნული საწარმოებში მომუშავე 1231 ქალი. კვლევის ძირითად ჯგუფს შეადგენდა საწარმოებში არსებულ პროფესიულ ფაქტორებთან კონტაქტირებული პირები (827 მუშა), ხოლო საკონტროლო ჯგუფის პირებს უშუალო კონტაქტი პროფესიულ მავნეობებთან არ ჰქონდათ – დამხმარე საამქროებისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურ-

რის მუშაკები (404 პირი). მამაკაცთა ძირითადი და საკონტროლო ჯგუფები ამავე პრინციპით იყო შერჩეული (1621 და 262 პირი, შესაბამისად).

მომუშავე ქალთა შობადობის ფუნქციის გამოკვლევისთვის შესაბამისი რეგიონების სამშობიარო სახლების არქივების საფუძველზე დამუშავდა მშობიარობის 918 ისტორია (628 – ძირითად და 290 – საკონტროლო ჯგუფებში).

ახალშობილთა და ორ წლამდე ასაკის ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოფიზიოლოგიური განვითარების შესწავლისთვის დამუშავდა ბავშვთა პოლიკლინიკებში არსებული ბავშვთა განვითარების 711 ისტორია (494 – ძირითად და 217 – საკონტროლო ჯგუფებში).

კომპლექსური გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საშენი მასალებისა და კონსტრუქციების წარმოებაში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობები ხასიათდება შრომითი პროცესისა და სწარმოო გარემოს არახელსაყრელ ფაქტორთა კომპლექსით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური პროცესის ძირითად ეტაპებზე დასაქმებულთა შრომითი პროცესი არახელსაყრელი პროფესიოგრაფიული მონაცემებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ დარგის სწარმოებში საკმაოდ მაღალია მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, ზოგიერთი სწარმოო ოპერაციის შესრულება მაინც არის დაკავშირებული ფიზიკურ დატვირთვასთან (აგურის დაყალიბებისა და მისი გადაწყობის პროცესი, კერამიკული წარმოების ნახევარფაბრიკატის – სხმულის დამუშავება და გადატანა და სხვ.) და სხეულის იძულებით მდებარეობასთან (მოხრილი – კერამიკულ წარმოებაში, ფენზე მდგომი – აგურის წარმოებაში), თუმცა უფრო ხშირია თავისუფალი სამუშაო პოზა. ზოგიერთ შემთხვევაში ერთჯერადი და ჯამური ტვირთის წონა აღემატება დასაშვებ სიდიდეებს.

საწარმოო გარემოს ფაქტორთა კომპლექსში შრომის მედიცინის თვალსაზრისით წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ზონის ჰაერის დაბინძურებას სილიკატური მტვრით, რომლის შემცველობა გაზომვათა 96,2% შემთხვევაში აღემატება ზღპ-ს. ჰაერის დამტვერიანების განსაკუთრებით არახელსაყრელი მდგომარეობა აღინიშნება წარმოების საწყის ეტაპზე – ნედლეულის ტრანსპორტირებისა და მშრალი წესით დამუშავების დროს, აგრეთვე ცემენტის წარმოების საბოლოო ეტაპზე – ცემენტის დაფქვისა და შეფუთვა-ტრანსპორტირებისას (63,66-176,78 მგ/მ³). გამოსაწვავი ღუმელების განლაგების ზონაში, ცალკეულ შემთხვევებში, აღინიშნება არასრული წვის პროდუქტის – ნახშირის მონოქსიდის მომატებული კონცენტრაციები, ხოლო ცემენტის წარმოებაში წიდის გრანულაციის დროს – გოგირდის შენაერთების (გოგირდწყალბადის, გოგირდის დიოქსიდის) მაღალი შემცველობა (ზღპ-ზე 1,6-2,1-ჯერ მეტად მომატებული).

საწარმოო სათავსების მიკროკლიმატის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც რეგიონის სუბტროპიკული კლიმატი, ისე საამქროებში არსებული სითბოს პირველადი და მეორადი წყაროები. დარგის საწარმოებში მიკროკლიმატი ძირითადად შეფასდა, როგორც არახელსაყრელი: გამაცხელებელი – წლის თბილ პერიოდში (ჰაერის მაღალი ტემპერატურისა და ზოგიერთ სამუშაო ადგილზე ინფრაწითელი გამოსხივების სახით) და

სუბნორმული – წლის ცივ პერიოდში (ჰაერის ტემპერატურის შედარებით დაბალი დონის ხარჯზე). შეფარდებითი ტენიანობის სიდიდე გარკვეულ კავშირშია რეგიონის კლიმატურ პირობებთან: მისი მომატებული დონე (დასაშვები სიდიდის ფარგლებში) რეგისტრირდება ნოტიო სუბტროპიკების პირობებში (დასავლეთი საქართველო), ხოლო თბილისური ნორმის ფარგლებში – მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში (აღმოსავლეთი საქართველო).

საწარმოო პროცესებში გამოყენებული მანქანა-დანადგარების მუშაობის შედეგად გენერირებული ხმაურისა და ვიბრაციის პარამეტრები ცალკეულ შემთხვევებში აღემატება დასაშვებ დონეებს.

დარგის საწარმოებში არახელსაყრელი საწარმო-პროფესიული ფაქტორების ფორმირება ძირითადად განპირობებულია საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებით, მათი ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვის დონით.

საწარმოებში არსებული შრომის პირობების ზემოქმედების შედეგად მომუშავე ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

დროებითი შრომისუუნარობით მიმდინარე ავადობის საერთო დონე ძირითად ჯგუფში შემთხვევათა რიცხვისა და შრომის უუნარობის დღეთა რაოდენობის მიხედვით (100 მომუშავეზე) მნიშვნელოვნად, 1,5-1,7-ჯერ აღემატება საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს (სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა, $p < 0,05$). ძირითად პროფესიებში მომუშავე ქალთა საერთო ავადობას მატების ტენდენცია აქვს: მისი დონე შემთხვევათა რიცხვის მიხედვით 1,3-ჯერ აღემატება მამაკაცთა ავადობის დონეს და 1,6-ჯერ – შესაბამის კონტროლს, ხოლო შრომისუუნარობის დღეთა რაოდენობის მიხედვით – 1,1-ჯერ და 1,6-ჯერ, შესაბამისად. ქალთა შორის ავადობის უფრო მაღალი საერთო დონე აღინიშნება კერამიკული, სილიკატური აგურის, ცემენტის, რკინაბეტონის და აზბესტოცემენტის ნაკეთობათა საწარმოებში.

ავადობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა სისტემების, ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემავრთბელი ქსოვილის დაავადებებს, რომლებიც შეადგენენ ყველა შემთხვევისა და შრომისუუნარობის დღეთა 2/3-ზე მეტს. მათ ფორმირებაში გარკვეულ როლს ასრულებს კონკრეტული საწარმო-პროფესიული ფაქტორები. ასეთივე სურათი გამოვლინდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გადრმავეული კლინიკურ-ფუნქციური შესწავლის შედეგად. გარკვეული პათოლოგიური მდგომარეობა გამოუვლინდა გამოკვლეულ ქალთა 60,4%-ს, რაც 12%-ით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს მამაკაცთა შორის.

ძირითადი პროფესიების ქალთა შორის აღინიშნება გინეკოლოგიური ავადობის უფრო მაღალი დონე (31%-ით) კონტროლთან შედარებით ($p < 0,05$). მის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია ანთებით დაავადებებს, მენსტრუალური ფუნქციის დარღვევებს და სხვ.; ხშირია ორსულობისა და მშობიარობის გართულებები (საკონტროლო ჯგუფთან შედარებით 3,3%-ით მეტი). მათი სტრუქტურა ძირითად საკონტროლო ჯგუფებში ერთმანეთისგან სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება $\chi^2 = 26,3$ ($\chi^2_{0,02} = 18,9$).

ახალშობილებს აღენიშნებათ დაცვითი ხასიათის რეაქციების დაქვეითება. მათი ავადობის სტრუქტურაში წამყვანია ცერებრული დარღვევები და ალერგიული დაავადებები (5,1 და 7,0%-ით მეტი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, შესაბამისად, $p < 0,05$), ხოლო 2 წლამდე ასაკის ბავშვების შორის – სუნთქვის ორგანოების დაავადებები.

ახალშობილებისა და 2 წლამდე ასაკის ბავშვთა ფიზიკური და ფსიქო-ფიზიოლოგიური განვითარების ტემპებში არსებული გადახრები განაპირობებს მათი დედების დროებით შრომისუუნარობას ავადმყოფი ბავშვის მოვლის გამო, რაც საკონტროლო ჯგუფთან შედარებით 2,4-ჯერ მეტია შემთხვევათა რიცხვის მიხედვით ($p < 0,05$) და 2,5-ჯერ მეტი – შრომისუუნარობის დღეთა მიხედვით ($p < 0,05$).

მიღებული მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საშენ მასალათა მრეწველობაში არსებული შრომის პირობები გავლენას ახდენს არა მარტო ქალთა ჯანმრთელობაზე, არამედ მათ შთამომავლობაზეც, რაც გამოიხატება ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მათი შთამომავლობის ფიზიკური და ფსიქო-ფიზიოლოგიური განვითარების მთელი რიგი მაჩვენებლების გაუარესებით.

ამრიგად, ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესწავლა შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების მიზნით პროფილაქტიკური მედიცინის, კერძოდ, შრომის მედიცინის, მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მისი აქტუალობიდან გამომდინარე, შეიძლება დავამკვიდროთ ტერმინი „პროფესიული რეპროდუქტოლოგია“.

ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა შესწავლილი დარგის საწარმოებში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიური, სანიტარიულ-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სამკურნალო-პროფილაქტიკური ხასიათის რეკომენდაციებს, აგრეთვე მეთოდური რეკომენდაციები „საშენი მასალებისა და კონსტრუქციების მრეწველობის საწარმოებში მომუშავე ქალთა შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ჰიგიენური შეფასება, პროფილაქტიკისა და რაციონალური შრომითი მოწყობის ღონისძიებები“. ისინი მიღებულია შესაბამისი საწარმოებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ პრაქტიკაში დასანერგად.

შემუშავებულ ღონისძიებათა შორის ძირითადია:

- წარმოებების, პროფესიების და სამუშაოების ჩამონათვალი შრომის მძიმე და მავნე პირობებით, სადაც იკრძალება ქალთა შრომის გამოყენება;
- წარმოებების, პროფესიების და სამუშაოების ჩამონათვალი შრომის მძიმე და მავნე პირობებით, სადაც იკრძალება შობადობის ასაკის ქალთა შრომის გამოყენება;
- პროფესიებისა და სამუშაოების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია უპირატესად ქალთა შრომის გამოყენება;
- ორსულობის დადგენის შემდეგ მუშების მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა შესაბამისი მეთოდური დოკუმენტის საფუძველზე.

რეკომენდებულ ღონიძიებათა რეალიზაცია შესწავლილი კონტინენტის შრომის პირობების და, შესაბამისად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობაა.

ლიტერატურა

1. *Измеров Н.Ф., Сквирская Г.П.* Медицина труда и промышленная экология, 2003, 12, 4-8.
2. *Николаев М.Е.* Медицина труда и промышленная экология, 2003, 12, 2-4.
3. *Ретнев В.М., Осетров Б.А., Дедкова Л.Е. и др.* Актуальные вопросы профилактической медицины и экологии человека. Академия наук профилактической медицины Грузии, Сб. науч. трудов, Тбилиси, 2000, т. 1, 122-124.
4. *Сивочалова О.В., Кожин А.В.* Экологические аспекты репродуктологии работающих женщин. М., 1997, 73 с.
5. *Сиденко А.Т.* Мат. VI Межгосударственной конференции по безопасности труда в промышленности строительных материалов и строительном производстве. Санкт-Петербург, 1998, 27-28.

ВЛИЯНИЕ УСЛОВИЙ ТРУДА НА РЕПРОДУКТИВНОЕ ЗДОРОВЬЕ РАБОТНИЦ ПРОМЫШЛЕННОСТИ СТРОИТЕЛЬНЫХ МАТЕРИАЛОВ

Р.Г. Кверенчиладзе, Л.Ш. Бакрадзе, М.П. Цимакуридзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Условия труда работниц промышленности строительных материалов характеризуются наличием неблагоприятных факторов производственной среды и трудового процесса, что оказывает неблагоприятное влияние на состояние их здоровья, физическое и психофизиологическое развитие их детей в возрасте до 2-х лет. Уровень заболеваемости с временной утратой трудоспособности среди женщин в 1,3 раза превышает аналогичные показатели среди мужчин. Отклонения в состоянии здоровья у работниц основной группы, по сравнению с мужчинами, наблюдаются на 12% чаще. Гинекологическая заболеваемость также на 12% превышает эти же показатели среди женщин контрольной группы; чаще выявляются осложнения беременности и родов, а также признаки угнетения защитно-приспособительных реакций у новорожденных и детей первых двух лет жизни.

На основании комплексных гигиенических и клинических исследований разработаны рекомендации по улучшению условий труда, состояния здоровья и обеспечения медицинской помощи работниц изученной отрасли промышленности.

STATE OF HEALTH IN WOMEN WORKING IN THE INDUSTRY OF BUILDING MATERIALS AND THEIR LABOUR CONDITIONS

R. Kverenchkhiladze, L. Bakradze, M. Tsimakuridze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The working conditions of female workers in building industry is characterized by unfavorable factors of job environment and process that has a negative effect on the state of health, physical and psychological development of their children under the age of 2 years. Harsh working conditions also have negative influence on the health and reproductive function of the women working in this field. Degree of morbidity accompanied by temporary loss of working capacity is 1.3 times higher than in men. Deviation rate from normal state of health is also on 12 percent higher in females than in male worker group. Gynecological disease rate is also on 12 percent higher than the one in the control group. Complications of pregnancy and child delivery are more often detected; also there is a rapid decrease of protective reactions among newborn babies.

On the basis of complex investigations certain measures have been developed to improve the conditions of work, state of health and medical service for the female workers in building industry.

ბარათა დამუხლული სხეულის ნეირონული აქტიურობის ნორადრინერგული მოდულაციის შესახებ

ა. კობაიძე, მ. სვანიძე, ნ. ორმოცაძე

თუ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 10.04.2008

ნაშრომში შესწავლილია ლურჯი ლაქის (*locus coeruleus*) მოქმედების ხასიათი თალამუსის ლატერალური დამუხლული სხეულის (*n. geniculatum lateralis*) ნეირონულ აქტივობაზე. ცდები ტარდებოდა მწვავე ექსპერიმენტის პირობებში ზრდასრულ, უნარკოზო ვირთაგვებზე. გამოვლინდა, რომ ოპტიკური ტრაქტის ელექტრულ გაღიზიანებას თალამუსის სარელეო ნეირონები პასუხობს რთული გამოწვეული პასუხებით, რომლებიც შედგება ჯგუფური განმუხტვებისა და შეკავების ფაზებისგან. ლურჯი ლაქის წინასწარი გაღიზიანება იწვევს სარელეო ნეირონების გადვილებას, რომელიც ვლინდება უკუცემული შეკავების შემცირებაში.

საკვანძო სიტყვები: თალამუსი, ლურჯი ლაქა, სარელეო ნეირონები, ელექტრული სტიმულაცია, ნეირონული აქტიურობა, უკუცემული შეკავება

თალამუსის დონეზე მიმდინარე ინფორმაციის ანალიზი ნეიროფიზიოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, ვინაიდან ცნობილია, რომ სენსორული ნაკადის მხოლოდ ის ნაწილი აღწევს ქერქულ ანალიზატორებამდე, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია მოცემული მომენტისთვის. ნორმალურ პირობებში ადამიანის თვალის ბადურა საშუალოდ 10^8 ბიტ/წმ ინფორმაციას დებულობს, ხოლო კეფის წილამდე აღწევს მხოლოდ 10^2 ბიტ/წმ. გამოდის, რომ მიღებული ინფორმაციის დაახლოებით $3/4$ ჩერდება თალამუსის დონეზე და აღქმის გარეშე რჩება [2]. ეს პროცესი ხორციელდება ახალი ქერქის კონტროლით და ყურადღების კონცენტრაციით გამოიხატება [1, 5]. თუმცა არსებობს აბერაციებიც. ასე, მაგალითად, შეიძლება ვექებდეთ ნივთს, რომელიც თვალწინ, თვალსაჩინო ადგილას დევს, მაგრამ ვერ ვხედავდეთ, ვინაიდან რაღაც მიზეზების გამო ის გადადის მეორეხარისხოვან გამღიზიანებელთა რიგში და ვერ აღწევს შესაბამის ქერქულ ანალიზატორამდე. სტუდენტი, რომელიც იმყოფება აუდიტორიაში და უსმენს ლექტორს, აღიქვამს მხოლოდ მას და მასთან დაკავშირებულ რამდენიმე დეტალს, მაგალითად, დაფას, კათედრას, ხოლო ის უამრავი ინფორმაცია ინტერიერის შესახებ, სტუდენტების შესახებ და ა.შ., რო-

მელიც მისი თვალის ბადურაზე აისახება, როგორც მეორეხარისხის რეაქტივი უინტერესო ამ მომენტისთვის, აღქმის გარეშე რჩება.

აღნიშნულ მოვლენასთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება შემდეგია: შესაძლოა, ინფორმაციული ანალიზის ამ რთულ პროცესში არსებით როლს ასრულებდეს თალამუსის სარელო ნეირონების უკუცემული შეკავება. ეს მოვლენა იმ არხების შერჩევითი ბლოკირებით გამოვლინდება, რომელთაგანით რეცეპტორებიდან შემოდის ინფორმაცია. ასეთი თვითნამკეტი მექანიზმის არსებობა დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა გაურკვეველად და დღესაც არ არის ბოლომდე გაცნობიერებული [1]. შესაძლოა, უკუცემული შეკავების პროცესი დაკავშირებული იყოს ინფორმაციის გაფილტვრასთან თალამუსის დონეზე, რაშიც მონაწილეობას თალამური ინტერნეირონები და ლურჯი ლაქის (ლლ) ის აფერენტაციებიც უნდა ღებულობდეს, რომლებიც ამ ინტერნეირონებზე პროეცირდება. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები.

მასალა და მეთოდები

ცდები ტარდებოდა მწვავე ექსპერიმენტის პირობებში დაუნარკოზებულ ზრდასრულ ცხოველებზე. ოპერაციული ნაწილი მიმდინარეობდა კეტალარის ნარკოზის ქვეშ სტერეოტაქსული მეთოდის გამოყენებით. თავის ტვინის სტრუქტურების გაღიზიანებისთვის ვიყენებდით კონსტანტანის ბიპოლარულ მაკროელექტროდებს (დიამეტრი 0,2 მმ). ოპერაციული ნაწილის შემდეგ ცხოველის გაუმოდრავება ხდებოდა მიორელაქსანტების საშუალებით (ტუბოკურარინი). გამღიზიანებლად გამოყენებული იყო ფოტოსტიმულაცია ან მხედველობის ტრაქტის ელექტროსტიმულაცია. თალამუსის სარელო ნეირონების აქტიურობის რეგისტრაცია ხდებოდა პირექსის მიკროელექტროდების საშუალებით.


მიღებული შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ლატერალური დამუხლული სკულის (ლლს) ნეირონების სპონტანური აქტიურობა დაუნარკოზებულ ცხოველებში წარმოდგენილია ჯგუფური და ცალკეული მოუწესრიგებელი განმუხტვების სახით. ფოტოსტიმულაცია ან მხედველობის ტრაქტის ელექტრული გაღიზიანება იწვევდა სპეციფიკური საპასუხო რეაქციების ჩამოყალიბებას, ძირითადად, ჯგუფური განმუხტვების სახით. ნეირონები, რომელთა გაღიზიანების ლატენტური პერიოდი შეადგენდა 2,5 მსკ-ს ან ნაკლებს, განიხილებოდა როგორც სარელო ნეირონები.

სურათზე 1 წარმოდგენილია ლლს-ის ორი ნეირონის ერთდროული რეგისტრაციის ჩანაწერი. ეს ნეირონები განსხვავებულად პასუხობს მხედველობითი ტრაქტის ელექტრულ გაღიზიანებაზე. ქვედა ნეირონზე ჩანს, რომ ჯგუფური განმუხტვების შემდეგ დგება შეკავების ფაზა. ფარული პერიოდისა და საპასუხო რეაქციის მიხედვით ის სარელო ნეირონების ჯგუფს მიეკუთვნება, ხედა ჩანაწერზე წარმოდგენილი ნეირონი კი - ინ-




ტერნეირონების ჯგუფს. მისი გააქტიურება ემთხვევა სარელეო ნეირონის შეკაების ფაზას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთ ფუნქციურ ჯგუფს ქმნიან. გ და ე ოსცილოგრამებზე მხედველობის ტრაქტის გაღიზიანებას წინ უსწრებს ლლ-ის ელექტროსტიმულაცია, რაც იწვევს ინტერნეირონის განმუხტვების შესუსტებას და სარელეო ნეირონის შეკაების ფაზის შემცირებას საშუალოდ 80 მსკ-ით (ვ).



სურ. 1. ლატერალური დამუხლული სხეულის ინტერნეირონისა და სარელეო ნეირონის ერთდროული რეგისტრაცია. ა, დ - სპონტანური აქტიურობა. ბ, ე - მხედველობის ტრაქტის გაღიზიანება (გაღიზიანების მომენტები აღნიშნულია არტეფაქტებით). გ, ვ - მხედველობის ტრაქტის გაღიზიანებას წინ უსწრებს ლურჯი ლაქის რითმული გაღიზიანება (20 ჰც, 4 ვ); დროის კალიბრება - 200 მ/სეკ

როგორც ცნობილია, ლურჯი ლაქა თავის ტვინის ძირითადი ნორადრენერგული სტრუქტურაა და თავისი აფერენტული ბოჭკოებით უხვად ამარაგებს თალამუსის სარელეო ბირთვებს [3, 4].

ლლ-ის მიერ თალამუსის სარელეო ნეირონების გამაადვილებელი მოქმედება აღწერილია სხვა ავტორების მიერაც. ვარაუდობენ, რომ ეს მოქმედება გამოწვეული უნდა იყოს შემაკავებელი ინტერნეირონების აქტიურობის დათრგუნვით [4]. ჩვენი დაინტერესება ამ სტრუქტურის მიმართ გამოიწვია იმ ლიტერატურულმა მონაცემებმა, რომელთა მიხედვით ლლ-ის გაღიზიანება იწვევს ცხოველის დაყურადების რეაქციას. სტიმულაციის შემდეგ ცხოველი ინტერესდება ისეთი გამღიზიანებლებით, რაც მანამდე მისთვის ინდიფერენტული იყო. ამასთან, გარკვეულ დონემდე, დაყურადების ხარისხი პროპორციულ დამოკიდებულებაში იყო ლურჯი ლაქის გაღიზიანების ინტენსივობასთან. ეს მონაცემები საინტერესოდ მივიჩნიეთ იმის გამო, რომ ჩვენს ექსპერიმენტებში ლურჯი ლაქის ელექტრული სტიმულაცია სტაბილურად ამცირებდა სარელეო ნეირონების უკუცემულ შეკაებას (სურ. 2).



სურ. 2. 32 სარელეო ნეირონის გასაშუალებელი პასუხები მხედველობის ტრაქტისა და წყვილადი გალიზიანების საპასუხოდ (LC + მხედველობის ტრაქტი)

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სარელეო ნეირონების უკუცემული შეკავება ემსახურება მოცემული მომენტისთვის მეორეხარისხოვანი ინფორმაციის შეკავება-გაფილტვრას და აღნიშნული პროცესის მოდულაციაში უნდა დებულობდეს მონაწილეობას თავის ტვინის ნორადრენერგული სისტემა.

ლიტერატურა

1. *Серков В.Н., Казаков В.* В кн: "Нейрофизиология таламуса". Киев, 1980.
2. *Jones E.G.* The Thalamus. Plenum Press. New York, 1985.
3. *Wiklund L., Leger L., Persson M. J.* Comp. Neurol., 1986, 203.
4. *Nakai J., Takaory S.* Brain Res., 1974, 71.
5. *Le Vay S., Sherk H. J.* Neurosci., 1, 198.

ბოლო წლებში ბათუმში ინსულტის ჰოსპიტალური გამოსავლის გაუმჯობესება არ აიხსნება ინსულტის “გაკეთილთვისებიანებით” ან მძიმე ფორმის ინსულტით დაავადებულთა იშვიათი ჰოსპიტალიზაციით, ვინაიდან ბოლო ათწლეულში ინსულტის, როგორც ურგენტული პათოლოგიის, მიმართ დამოკიდებულება როგორც მოსახლეობის, ასევე ჯანდაცვის პირველადი რგოლის მხრიდან არსებითად არ შეცვლილა. ჰოსპიტალური გამოსავლის გაუმჯობესების ერთერთი მიზეზი უნდა იყოს ნეიროვიზუალიზაციური კვლევების მეტი სიხშირით გამოყენება. ამასთან, მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური საშუალებების დანერგვა უფრო ეფექტურია მაშინ, როცა ის თანხლებულია მულტიდისციპლინური ინტელექტუალური რესურსით. ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ ჩატარებული ინსულტის გამოსავლის შედარებითი ანალიზი ორ ჰოსპიტალს შორის. ვფიქრობთ, ინსულტის პოპულაციურ კვლევას თავისთავად მოაქვს ამ პოპულაციისთვის დადებითი ეფექტი დაავადების გამოსავლის თვალსაზრისით, რაც ასოცირდება ნევროლოგიკულ ექსპერტის (ან მკვლევართა ჯგუფის) პროფესიულ სრულყოფასთან.

ლიტერატურა

1. *ცხკარაძე ა.* ინსულტის ნოზოგრაფია საქართველოში პრობლემის გლობალიზაციის ასპექტში. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2004.
2. *Allen C.M.* QJ Med., 1983, 52, 515-523.
3. *Bonita R.* Lancet, 1992, 339, 342-344.
4. *Carolei A., Marini C., Di Napoli M. et al.* Stroke, 1997, 28 (12), 2500-2506.
5. *Czlonkowska A., Ryglewicz D. et al.* Stroke, 1994, 25, 547-551.
6. *Feigin V.L., Wiebers D., Nikitin Y.P., O'Fallon W.M., Whisnant J.P.* Mayo Clin. Proc., 1995, 70 (9), 847-52.
7. *Malmgren R., Warlow C., Bamford J., Sandercock P.* Lancet, 1987, 2, 1196-1200.
8. *Murray C.J.L., Lopez A.D.* The Global Burden of Disease: a comprehensive assessment of mortality and disability from diseases, injuries and risk factors in 1990 and projected to 2020. Boston: Harvard University Press, 1996.

ЭПИДЕМИОЛОГИЧЕСКИЙ ПРОФИЛЬ ЦЕРЕБРАЛЬНОГО ИНСУЛЬТА В Г. БАТУМИ В КОНЦЕ XX ВЕКА

Дж. Макарадзе, Р. Шакаришвили, А. Цискаридзе, М. Беридзе, Т. Гачечиладзе

Институт клинической неврологии и нейрохирургии им. П.М. Сараджишвили;
Республиканская клиническая больница г. Батуми

РЕЗЮМЕ

Церебральный инсульт, как “заболевание-убийца” лидирует вместе с инфарктом миокарда и злокачественными опухолями, а среди причин, вызывающих ограничение способностей взрослых, занимает первое место в мире.

Целью нашего исследования явилось изучение первичного церебрального инсульта, случаев смертности, показателей госпитализации в г. Батуми, а также изменения исхода инсульта за последние десятилетия с применением проспективного, популяционного клинико-эпидемиологического метода.

Результаты: общий годовой инцидент первичного инсульта на 100.000 популяции г. Батуми составляет 144. Для возрастной группы выше 45 лет инцидент составлял 474, среди них женщины – 451, а мужчины – 505.

Среди типов инсульта преобладали случаи тяжелой формы заболевания. У мужчин больше всего была доля инсультов геморрагического типа, у женщин – инсульт недифференцированного типа. В течение одного месяца случаи смертности, вызванной инсультом, наблюдались в 41,5%. Годовой инцидент фатального инсульта был 60, показатель госпитализации – 47%.

По данным 2005 и 2007 годов в Батуми выявлено снижение интрагоспитальной смертности, вызванной инсультом.

Заболевание инсультом в популяции г. Батуми соответствует данным таких же популяционных исследований, а данные летальности – гораздо выше. Несмотря на то, что за последние десятилетия отмечалось уменьшение случаев смертности, вызванной инсультом, этот показатель все же высокий и требуется имплементация эффективной превенции и лечения инсультов в Батуми.

EPIDEMIOLOGICAL DESCRIPTION OF CEREBRAL STROKE IN BATUMI AT THE END OF XX CENTURY

J. Makaradze, R. Shakarishvili, A. Tsiskaridze, M. Beridze, T. Gachehiladze

P. Saradjishvili Institute of Clinical Neurology and Neurosurgery; Batumi Republican Clinical Hospital

SUMMARY

Cerebral stroke as a “disease-killer” together with myocardial infarction and malignant tumors takes first place and among the reasons inducing a disability in adults is in the lead throughout the world.

The goal of our investigation was the study of primary cerebral stroke in Batumi, its death-rate and the indices of hospitalization, as well as the changes in stroke outcome in Batumi during the last ten years. A prospective clinical-epidemiological method was used in this investigation.

The results: a general annual incidence of primary stroke per 100.000 population of Batumi makes 144. For the age group above 45 the incidence was 474, among them women – 451, men – 505.

The cases of serious forms of the disease prevailed among the types of the stroke. In men a significantly great part belongs to the strokes of hemorrhagic type. During one month a mortality evoked by the stroke was observed in 41,5%. An annual incidence of fatal stroke in 60% and indices of hospitalization were in 47%.

According to the data of 2005-2007, a decrease of cases of intrahospital mortality evoked by the stroke was revealed in Batumi.

The cases of stroke in the population of Batumi correspond to the data of similar population investigation, while the data on lethality were much high. Despite it is noted a decrease of death-rate in the last decades evoked by the stroke, this index is still high and is needed an implementation of effective prevention and treatment of stroke in Batumi.

ძვლის ტვინის მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების გამოყენება სტრომატოლოგიაში

გ. მენაბდე, ქ. გოგილაშვილი, ზ. კაკაბაძე, ე. ბერიშვილი,
გ. ლოლაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; თერაპიული სტო-
მატოლოგიის დეპარტამენტი; კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი

მიღებულია 10.04.2008

ღვთისთვის უამრავი კვლევა ეძღვნება მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების გამოყენებას ქსოვილების აღდგენის მიზნით. მეზენქიმური ღეროვანი უჯრედები დიფერენცირდებიან ოსტეოციტებად, ქონდროციტებად, ადიპოციტებად, ძვლის ტვინის სტრომულ ფიბრობლასტებად და ა.შ. მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების მიერ არ ექსპრესირდება CD34 ან CD45 ზედაპირული ანტიგენი, მათი იდენტიფიკაცია შესაძლებელია ზედაპირული ანტიგენის STRO-1-ის საშუალებით. STRO-1 აგრეთვე წარმოადგენს პროსტოგენური, პრეადიპოგენური ან პრექონდროგენული პოპულაციების მარკერს, მაგრამ მისი ექსპრესია პროგრესულად კლებულობს უჯრედების პროლიფერირებისა და მომწიფებულ ოსტეობლასტებად დიფერენცირების შემდეგ. ამიტომაც STRO-1 წარმოადგენს მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების პოპულაციის მაიდენტიფიცირებელ ადრეულ მარკერს.

მრავალი კვლევით დადგინდა, რომ ძვლის ტვინის მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის შემდეგ ხორციელდებოდა ძვლოვანი და ხრტილოვანი ქსოვილების ინდუქცია. ამგვარად, ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყენებას უდიდესი პოტენციალი გააჩნია ძვლოვანი ქსოვილების აღსადგენად. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ პარადონტის ქსოვილების რეგენერაციის სტიმულირებას ძვლის ტვინის მეზენქიმური ღეროვანი უჯრედებით დიდი პერსპექტივები გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: მეზენქიმური ღეროვანი უჯრედები, ქსოვილის ინდუქცია, პაროდონტი

ღვთისთვის უამრავი კვლევა ეძღვნება მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების გამოყენებას ძალიან ბევრი კვლევა ეძღვნება [1, 2]. ძვლის ტვინის სტრომა მოიცავს პრეპურსორულ უჯრედებს, რომლებსაც ჰემოპოეტური და მეზენქიმური ხაზის უჯრედებად დიფერენცირების უნარი გააჩნია [3]. ჰემოპოეტურ ღეროვან უჯრედებს შეუძლია მოცირკულირე

ჰემოპოეტური უჯრედების სრული პოპულაცია მოგვცეს. მეხენქიმური ღეროვანი უჯრედები დიფერენცირდება ოსტეოციტებად, ქონდროციტებად, ადიპოციტებად, ძვლის ტვინის სტრომულ ფიბრობლასტებად და ა.შ.

ჰემოპოეტური უჯრედების აბსოლუტური უმრავლესობა, სისხლის მომწიფებელი წითელი უჯრედების გარდა, CD45 ზედაპირული ანტიგენის მატარებელია. ამასთან ერთად, ჰემოპოეტური უჯრედების პროგენიტორული უჯრედების სუბპოპულაცია CD34 პოზიტიურია. მეხენქიმური ღეროვანი უჯრედების მიერ არ ექსპრესირდება CD34 ან CD45 ზედაპირული ანტიგენი, მათი იდენტიფიკაცია ზედაპირული ანტიგენის STRO-1-ის საშუალებითაა შესაძლებელი. STRO-1 აგრეთვე წარმოადგენს პრეოსტეოგენური, პრეადიპოგენური ან პრექონდროგენული პოპულაციების მარკერს, მაგრამ მისი ექსპრესია პროგრესულად კლებულობს უჯრედების პროლიფერირებისა და მომწიფებულ ოსტეობლასტებად დიფერენცირების შემდეგ. ამიტომ STRO-1 მეხენქიმური ღეროვანი უჯრედების პოპულაციის მაიდენტიფიცირებელ ადრეულ მარკერს წარმოადგენს. მიღებული უჯრედული პოპულაციის იდენტიფიცირება გამდინარე ციტომეტრიით, CD 34, CD 45, CD 133, STRO-1 ანტისხეულების გამოყენებით ხორციელდება.

ერთ-ერთ კვლევაში, ძვლის ტვინის მეხენქიმური ღეროვანი უჯრედები იმუნოდეფიციტურ თაგვებში იქნა ტრანსპლანტირებული (NOD / SCID), რის შედეგადაც მიღებულ იქნა ძვლოვანი ქსოვილი [4]. ექსპერიმენტში სხვადასხვა მოდელზე მეხენქიმური ღეროვანი უჯრედებით აღდგენილ იქნა ძვლის სემინტური დეფექტები [5, 6]. ინტაქტური ძვლის ტვინიდან გამოყოფილი სტრომული უჯრედები ტრანსპლანტირებულ იქნა მეხენქიმური ქსოვილების გენეტიკური დაავადებით – დაუსრულებელი ოსტეოგენეზის მქონე წინასწარ დასხივებულ თაგვებში [7]. ტრანსპლანტაციის შედეგად ტრანსპლანტირებული უჯრედებიდან ფუნქციური ძვლისა და ხრტილის ფორმირება იქნა გამოვლენილი. უფრო მეტიც, დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებულ ბავშვებში, ძვლის ტვინის მეხენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციით მიღწეულ იქნა ოსტეობლასტების რაოდენობის მომატება, ახალი ლამელარული ძვლის ფორმირება და საერთო მინერალების დონის მატება [8].

ამგვარად, ეჭვგარეშეა, რომ ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყენებას უდიდესი პოტენციალი გააჩნია ძვლოვანი ქსოვილების აღსადგენად. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ პაროდონტის ქსოვილების რეგენერაციის სტიმულირებას ძვლის ტვინის მეხენქიმური ღეროვანი უჯრედებით დიდ პერსპექტივები გააჩნია.

პაროდონტის დაავადებების მკურნალობა კლინიკური პაროდონტოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. პაროდონტის კომპლექსის შემადგენელ ნაწილს ძვლოვანი ქსოვილი (ალვეოლური ძვალი) წარმოადგენს. ამგვარად, პაროდონტის დაავადებების მკურნალობის მიზანი ძვლოვანი სტრუქტურის რეგენერაციის სტიმულირებაა. მიუხედავად იმისა, რომ პაროდონტის ქსოვილების რეგენერაციის რეგულირება ჯერ კიდევ კვლევის საგანს წარმოადგენს, მისი დაზიანების უკუგანვითარების მექანიზმები დღეისთვის საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ძვლის რეზორბციასა და

ფორმირებას შორის ბალანსს ოსტეობლასტები და ოსტეოკლასტები ინარჩუნებს [9, 10]. პაროდონტის დაავადებების დროს ოსტეოკლასტები ალვეოლური ძვლის რეზორბციას იწვევს. ოსტეოკლასტოგენეზის ინდუქტორი ბირთვული ფაქტორის – jB ლიგანდის რეცეპტორის აქტივატორია (RANKL) [11, 12]. RANKL-ის სინთეზი ოსტეობლასტებისა და ძვლის ტვინის სტრომული უჯრედების მიერ ხორციელდება და მისი სივრცელი სპეციფიკური რეცეპტორით – ბირთვული ფაქტორის – jB რეცეპტორის აქტივატორით (RANK) გადაიცემა, რომელიც, თავის მხრივ, ოსტეოკლასტების პროგენიტორების უჯრედულ ზედაპირზე ექსპრესირებული [13, 14]. ოსტეოპროტეგერინი ოსტეობლასტების მიერ პროდუცირდება და ჩართულია რა RANKL და RANK-ის კონკურირებად შებოჭვაში, ოსტეოკლასტოგენეზის ინჰიბირებას ახორციელებს. გარდა ამისა, სხვადასხვა კვლევით დადასტურებულ იქნა, რომ მაკროფაგების მიერ სინთეზირებული ინტერლეიკინ-1 β ოსტეოკლასტოგენეზზე ახდენს როგორც არაპირდაპირ (ოსტეობლასტების მიერ RANKL-ის ექსპრესიის სტიმულირებით), ასევე პირდაპირ (ოსტეოკლასტების მომწიფების სტიმულირება) ზემოქმედებას [15]. ჭრილობის შეხორცების პროცესში, როგორც რეგენერაციის, ასევე დესტრუქციის ფაზაში მაკროფაგები მონაწილეობს. დადასტურებულ იქნა, რომ მაკროფაგების მიერ ოსტეონდუქტიური სიგნალები პროდუცირდება, ძვლის მორფოგენული პროტეინი-2-ის ჩათვლით. ექსპერიმენტში თავგებზე ოსტეოართრიტის მოდელით ნაჩვენებ იქნა, რომ მაკროფაგები ახორციელებს ზრდის სხვადასხვა ფაქტორების სინთეზს, მათ შორის: მატრანსფორმირებადი ზრდის ფაქტორი β (TGF β), ძვლის მორფოგენული პროტეინი-2 და ძვლის მორფოგენული პროტეინი-4 [16]. გარდა ამისა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ოსტეოციტების ფორმირების პროცესშიც. ერთ-ერთ იმუნოპისტოქიმიურ კვლევაში ნაჩვენებ იქნა, რომ მაკროფაგების მიერ ზრდის ფაქტორების ექსპრესირება ოსტეონდუქციასთან იყო დაკავშირებული. ამგვარად ეჭვგარეშეა, რომ მაკროფაგების მიერ სინთეზირებული ზრდის ფაქტორები ჭრილობის შეხორცებას და ძვლის ფორმირებას ასტიმულირებს.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მიმართულებით კვლევების დაწყება. ამისთვის ჩვენ მიერ შემუშავებულია ექსპერიმენტული კვლევის დიზაინი. აღნიშნული კვლევის ფარგლებში იკვებება პაროდონტიტის ექსპერიმენტული მოდელირება და დაავადების განვითარების მექანიზმის შესწავლა. დადგენილ იქნება ტრანსპლანტაციისთვის ძვლის ტვინის მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ოპტიმალური რაოდენობა, აღწერილ იქნება მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების დიფერენცირების მექანიზმი, დადგენილ იქნება ძვლის ტვინის მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის ეფექტურობა ექსპერიმენტული პაროდონტიტის პირობებში, ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე მოწოდებული იქნება მეთოდის კლინიკური აპრობაციის რაციონული სქემა.

ლიტერატურა

1. Anusaksathien O., Jin Q., Zhao M., Somerman M.J., Giannobile W.V. J. Periodontol., 2004, 75, 429-440.

2. *Bae Y.H., Huh K.M., Kim Y., Park K. J. Control Release, 2000, 64, 3-13.*
3. *Bagnaninchi P.O., Dikeako M., Veras T., Tabrizian M. Biotechnol. Bioeng., 2003, 84, 343-350.*
4. *Bartold P.M., McCulloch C.A.G., Narayanan A.S., Pitaru S. Periodontol., 2000, 2000, 24, 253-269.*
5. *Baum B., Mooney D.J. JADA, 2000, 131, 309-318.*
6. *Benedetti L., Cortivo R., Berti T., Pea F., Mazzo M., Moras M., Abatangelo G. Biomaterials, 1993, 14, 1154-1160.*
7. *Bacigalupo A., Frassoni F., Van Lint M.T. Curr. Opin. Hematol., 2000, 7, 343-347.*
8. *Batouli S., Miura M., Brahim J., Tsutsui T.W., Fisher L.W., Gronthos S., Robey P.G., Shi S. J. Dent. Res., 2003, 82, 976-981.*
9. *Beresford J.N. Clin. Orthop., 1989, 240, 270-280.*
10. *Bianco P., Robey P.G. Nature, 2001, 414, 118-121.*
11. *Bianco P., Riminucci M., Gronthos S., Robey P.G. Stem Cells, 2001, 19, 180-192.*
12. *Bodnar A.G., Ouellette M., Frolkis M., Holt S.E., Chiu C.P., Morin G.B., Harley C.B., Shay J.W., Licststeiner S., Wright W.E. Science, 1998, 279, 349-352.*
13. *Broccoli D., Young J.W., de Lange T. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1995, 92, 9082-9086.*
14. *Bruder S.P., Kurth A.A., Shea M., Hayes W.C., Jaiswal N., Kadiyala S. J. Orthop. Res., 1998, 16, 155-162.*
15. *Buckner C.D. J. Hematother., 1999, 8, 233-236.*
16. *Castro-Malaspina H., Gay R.E., Resnick G., Kapoor N., Meyers P., Chiarieri D., McKenzie S., Broxmeyer H.E., Moore M.A. Blood, 1980, 56, 289-301.*

ПРИМЕНЕНИЕ МЕЗЕНХИМАЛЬНЫХ СТВОЛОВЫХ КЛЕТОК В СТОМАТОЛОГИИ

Г. Менабде, К. Гогилашвили, З. Какабадзе, Е. Беришвили, Г. Лоладзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

На сегодняшний день очень много работ посвящено использованию мезенхимальных стволовых клеток костного мозга с целью восстановления различных тканей.

Мезенхимальные стволовые клетки не экспрессируют CD34 и CD45 поверхностные антигены. Идентификация МСККМ производится посредством визуализации антигена STRO-1, который также представляет преостеогенный, преадипогенный или же прехондрогенный маркер. Однако, экспрессия последнего прогрессивно понижается после дифференцирования клеток.

Исследованиями было выявлено, что мезенхимальные стволовые клетки способны дифференцироваться в остециты, хондроциты, адипоциты и др.

На основании этого, мы считаем, что стимулирование регенерации тканей пародонта трансплантацией мезенхимальных клеток костного мозга имеет большие перспективы.

TRANSPLANTATION OF BONE MARROW DERIVED MESENCHYMAL STEM CELLS IN STOMATOLOGY

G. Menabde, K. Gogilashvili, Z. Kakabadze, E. Berishvili, G. Loladze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Previous studies have demonstrated that BMSSCs are true postnatal stem cells, capable of differentiating into a variety of cell types. These cells were initially identified by their capacity to form clonogenic adherent cell clusters with a fibroblastic morphology in vitro. Each colony represents a strain of cells derived from the proliferation of a single precursor cell. Previous studies have documented that individual BMSSC colonies demonstrated marked differences in their proliferation rates and developmental potential both in vitro and in vivo. The recent identification of a putative perivascular niche for BMSSCs is a milestone in mesenchymal stem cell research. MSSCs can now be efficiently retrieved from bone marrow aspirates, based on their high expression of the STRO-1 antigen, using various immunoselection protocols. STRO-1 is a marker of pre-osteogenic, prechondrogenic or pre-adipogenic populations, but its expression is progressively lost following cell proliferation and differentiation into mature osteoblasts in vitro. Therefore, STRO-1 appears to be an early marker of different mesenchymal stem cell populations that is also expressed by perivascular cells in situ. Currently, it is possible to isolate highly purified BMSSCs from bone marrow using STRO-1. The management of periodontal defects has been an ongoing challenge in clinical periodontics. This is mainly a result of the fact that the tissues which comprise the periodontium, the periodontal ligament, and the cementum and alveolar bone, represent three unique tissues in their own right. Thus, reconstruction of the periodontium is not just a simple matter of regenerating one tissue but involves at least three quite diverse and unique tissues.

Taking in account the results of recent studies we hypothesize, that mesenchymal stem cells transplantation should be perspective approach in periodontal defects treatment. For this purpose we plan to perform an experimental investigation which will include induction of periodontitis, purification of the bone marrow stem cells and their transplantation.

ვირთავების ფსიქოემოციური ქცევის გენდერული განსხვავება ოქსიტოცინის ზემოქმედების ფონზე

ე. მონიავა, ნ. ბუკია, მ. ბუცხრიკიძე

ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

მიღებულია 30.03.2008

შესწავლილ იქნა ოქსიტოცინის როლი სხვადასხვა სქესის ვირთავების ქცევის ფსიქოემოციურ მახასიათებლებზე “ღია ველი” პირობებში. “ღია ველში” ვირთავებზე დაკვირვება ხდებოდა 5 წთ-ის განმავლობაში, ერთსა და იმავე დროს, 11-დან 13 საათამდე. რეგისტრირდებოდა: ცენტრში შესვლის, გადაკვეთილი კვადრატების, თავის აწვეის, ვერტიკალური დგომებისა და ბოლუსების რაოდენობა, აღირიცხებოდა გრუმინგის ხანგრძლივობა და “სოროს” რეფლექსი. ექსპერიმენტი ტარდებოდა 200-220 გ წონის თეთრ, უჯიშო, ორივე სქესის ვირთავებზე. ცხოველები იმყოფებოდნენ სტანდარტულ პირობებში. როგორც მდედრი, ასევე მამრი ვირთავები დაყოფილი იყო საკონტროლო და საცდელ ჯგუფებად. ქცევის ფსიქოემოციურ მახასიათებლებზე ოქსიტოცინის გავლენის დადგენის მიზნით ვიყენებით სინთეტიკურ ოქსიტოცინს, რომელიც შეგვკავდა დოზით 8 მკგ ცხოველზე, ინტრაპერიტონეალურად 5 დღის განმავლობაში. ცხოველის ტესტირებას სახდენდით მეექვსე დღეს ოქსიტოცინის შეყვანიდან 15-20 წუთის შემდეგ. ოქსიტოცინის უშუალო ეფექტის დადგენის მიზნით ცხოველებს ვუკეთებდით იგივე მოცულობის ფიზიოლოგიურ ხსნარს. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოვიყენეთ სტუდენტის t-კრიტერიუმი.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ოქსიტოცინს აქვს სელატიური, განგაშის საწინააღმდეგო მოქმედება. გარდა ამისა, ოქსიტოცინი ზრდის ორგანიზმის საორიენტაციო-კვლევით აქტიურობას. მიღებული მაჩვენებლების მიხედვით, ოქსიტოცინის გავლენა უფრო ეფექტურადაა გამოხატული მდედრ ვირთავებში, ვიდრე მამრებში.

საკვანძო სიტყვები: ოქსიტოცინი, ქცევა, “ღია ველი”, ვირთავა, სქესი

სტრესოგენური სტიმულის საპასუხოდ როგორც მამრ, ასევე მდედრ ორგანიზმებში ხდება ანტისტრესული სისტემების მნიშვნელოვანი აქტივაცია, რომელიც ერთ შემთხვევაში განაპირობებს მყარ ადაპტაციას, ხოლო სხვა შემთხვევაში, როცა სტრესოგენური ფაქტორის ზემოქმედება აჭარბებს თავის ტვინის ნეიროქიმიური ადაპტაციის საზღვრებს – ფსიქოსომატური დარღვევების განვითარებას. ემოციურ-სტრესული მოქმედების შედეგად

გად, ფსიქოპათოლოგიური გამოვლინების კორექციისთვის აუცილებელია ისეთი ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენება, რომლებიც აძლიერებს ორგანიზმის ბუნებრივ ჰომეოკინეზურ პროცესებს, დარღვეული ჰომეოსტაზის აღდგენის მიზნით. ასეთი მოქმედება შესაძლებელია გააჩნდეს ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზურ ჰორმონს ოქსიტოცინს [1]. ოქსიტოცინის შემცველი იმუნორეაქტიული ბოჭკოები გავრცელებულია ისეთ უბნებში, რომლებიც ითვლება სტრესზე მორეაგირე უბნებად. ეს უბნებია – bed nucleus striae terminales (BNST), ამიგდალა, სეპტუმი და ჰიპოკამპი [4, 5].

ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ოქსიტოცინის გავლენა სხვადასხვა სქესის ვირთაგვების ქცევის ფსიქოემოციურ მახასიათებლებზე “ღია ველის” პირობებში.

როცა ცხოველები “გრძნობენ” საშიშროებას, ჰორმონების ერთი ნაწილი (ადრენალინი, ნორადრენალინი, კორტიკოტროპული ჰორმონები) აქტიურდება, რის შედეგად ხშირდება გულის შეკუმშვები და სუნთქვა, იზრდება სისხლის წნევა და მცირდება გლუკოზის რაოდენობა კუნთებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქტიურდება ის პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზმს შეებრძოლოს და/ან გაექცეს მისთვის არასასურველ გარემოს ან გამღიზიანებელს. უდავოა, რომ სტრესზე რეაგირებისთვის როგორც მღედრები, ასევე მამრები საჭიროებენ აღნიშნული სისტემის არსებობას. იმასთან დაკავშირებით, რომ ოქსიტოცინის მოქმედების ეფექტურობა დამოკიდებულია სასქესო ჰორმონებზე, ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ ვირთაგვებში ოქსიტოცინის შეყვანის ფონზე აღმოცენებული ფსიქოემოციური ქცევის გენდერული განსხვავება.

მასალა და მეთოდები

ქცევის ფსიქოემოციური მახასიათებლების შესასწავლად გამოვიყენეთ “ღია ველის” ტესტი, რომელიც წარმოადგენს 80 სმ დიამეტრის მქონე ფართობს და შემოსაზღვრულია 30 სმ-ის სიმაღლის კედლებით. ჩვენს ექსპერიმენტებში ავირჩიეთ მრგვალი “ღია ველი”, ვინაიდან ოთხკუთხა “ღია ველის” პირობებში ცხოველი ირჩევს რომელიმე ერთ კუთხეს. ეს თვისება ეთიოლოგიურადაა დამახასიათებელი მათთვის. “ღია ველის” იატაკი დაყოფილია 16 სექციად. იატაკს დართული აქვს 3 სმ-ის დიამეტრის ორმოები. 1,5 სმ-ის სიმაღლიდან “ღია ველის” ცენტრს ანათებს 100-ვატიანი ნათურა. ტესტირების წინ ცხოველებს ცალ-ცალკე ვათავსებდით ბნელ ყუთში 5 წუთით, შემდეგ კი ისინი გადაგვყავდა “ღია ველის” ცენტრში. ვირთაგვების ქცევაზე დაკვირვება მიმდინარეობდა 5 წუთის განმავლობაში დღის ერთსა და იმავე დროს. ექსპერიმენტის მსვლელობისას რეგისტრირდებოდა შემდეგი პარამეტრები: ცენტრში შესვლის, გადაკეთილი სექციების, თავის აწევის, ვერტიკალური დგომებისა და ბოლუსების რაოდენობა. აღირიცხებოდა გრუმიზის ხანგრძლივობა და “სოროს” რეფლექსი (“ღია ველში” არსებულ ორმოებში თავის ჩაყოფის რიცხვი). აღნიშნული პარამეტრები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ცხოველის საორიენტაციო-კვლევით აქტიურობაზე, შიშის რეაქციასა და, საერთოდ, ცხოველის ემოციურ ფონზე.



ექსპერიმენტი ტარდებოდა 200-220 გ წონის თეთრ, უჯიშო, ორევე სქესის ლაბორატორიულ ვირთაგვებზე. ცხოველები იმყოფებოდნენ სტანდარტულ პირობებში. ქცევის ფსიქომოციურ მახასიათებლებზე ოქსიტოცინის გავლენის დადგენის მიზნით გამოვიყენეთ უნგრული წარმოების სინთეტიკური ოქსიტოცინი (Gedeon-Richter), რომელიც შეგვყავდა დოზით 8 მკგ ცხოველზე, ინტრაპერიტონეალურად 5 დღის განმავლობაში. ცხოველის ტესტირებას ვახდენდით მეექვსე დღეს ოქსიტოცინის შეყვანიდან 15-20 წუთის შემდეგ. ოქსიტოცინის უშუალო ეფექტის დადგენის მიზნით ცხოველებს ვუკეთებდით იგივე მოცულობის ფიზიოლოგიურ ხსნარს. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოვიყენეთ სტიუდენტის t-კრიტერიუმი.

მიღებული შედეგები და მათი განხილვა

ცხოველების ქცევა “ღია ველში” მოხვედრისას მნიშვნელოვნად განისაზღვრება საორიენტაციო-კვლევითი რეაქციით. იმავდროულად, “ღია ველში” მატულობს შიშის რეაქციები, რომელიც აფერხებს აღნიშნული ქცევის მოძრაობით გამოვლინებას (იხ. ცხრილი).

აღმოჩნდა, რომ ოქსიტოცინის 6-დღიანი შეყვანის ფონზე მატულობს როგორც მამრი, ასევე მდედრი ვირთაგვების საორიენტაციო-კვლევითი აქტიურობა, რაც ქცევის კორელატების: გადაკვეთილი სექციების, ვერტიკალური დგომების, თავის აწევის, “სოროს რეფლექსის” რაოდენობრივ ხრდაში გამოვლინდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდედრი ვირთაგვების საორიენტაციო-კვლევითი აქტიურობა მნიშვნელოვნადაა მომატებული მამრ ვირთაგვებთან შედარებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ოქსიტოცინის გავლენა მდედრი და მამრი ვირთაგვების ქცევის ფსიქომოციურ მახასიათებლებზე “ღია ველის” პირობებში

პარამეტრები	მდედრი ვირთაგვები		მამრი ვირთაგვები	
	ფიზ. ხსნარი	ოქსიტოცინი	ფიზ. ხსნარი	ოქსიტოცინი
ცენტრში შესვლა	1,8	2,6	2,3	2,6
გადაკვეთილი კვადრატები	34,4	45,0	41,2	49,0
ვერტიკალური დგომა	6,8	18,2	19,2	21,2
თავის აწევა	8,7	18,6	23,2	15,2
სოროს რეფლექსი	4,4	5,0	3,8	2,4
გრუმინგი	8,2	37,5	7,0	20,5
დუფუკაცია	1,0	0	0,5	0
ურინაცია	0	0,5	0	0,1

ვინაიდან “ღია ველში” ცხოველების ქცევა ყალიბდება კვლევითი და თავდაცვითი მოტივაციის საფუძველზე, კვლევითი აქტიურობის გაძლიერება მიანიშნებს თავდაცვითი მოტივაციის და შიშის ემოციის შემცირებაზე. შიშის რეაქციის შემცირებაზე ასევე მიუთითებს ცენტრში შესვლის რაოდენობის გაზრდაც.

მდგრად ვირთაგვებში გრუმინგული რეაქციები ასევე სარწმუნოდ ($p < 0,01$) მატულობს საკონტროლო ვირთაგვების ამავე მანევრებელთან შედარებით. ამასთანავე, გრუმინგული რეაქციების მხრივ, მამრი ვირთაგვები ჩამორჩებიან მდედრ ვირთაგვებს. საინტერესოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ოქსიტოცინი იწვევს გრუმინგული რეაქციების როგორც სიხშირის, ისე მათი ხანგრძლივობის გაზრდას, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გრუმინგი მონაწილეობს თვითრეგულაციური სისტემების ჩართვის პროცესში.

ოქსიტოცინის ქრონიკული შეყვანის ფონზე დეფეკაციური ბოლუსების რაოდენობის შემცირება ასევე შიშის რეაქციის შემცირებაზე უნდა მიუთითებდეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაზრდილი მოძრაობითი აქტიურობა, გრუმინგული რეაქციების გახანგრძლივება და დაბალი ვეგეტატიური ბალანსი მიუთითებს ოქსიტოცინის შეყვანის საპასუხოდ ორგანიზმის მდგრადობის გაზრდაზე სტრესული გარემოს მიმართ. ამ შემთხვევაში “ღია ველი” წარმოადგენს სტრესულ ფაქტორს.

ამდენად, ოქსიტოცინს აქვს სედატიური, განგაშის საწინააღმდეგო მოქმედება. გარდა ამისა, ოქსიტოცინი ზრდის ორგანიზმის საორიენტაციო-კვლევით აქტიურობას. მიღებული მანევრებლების მიხედვით, ოქსიტოცინის გავლენა უფრო ეფექტურადაა გამოხატული მდგრად ვირთაგვებში, მამრებთან შედარებით.

სავარაუდოდ, მიღებული შედეგების სხვაობა დაკავშირებული უნდა იყოს სქესობრივ დიმორფიზმთან, რაც მდედრებისა და მამრების განსხვავებული ჰორმონალური სტატუსით აიხსნება. ლიტერატურაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ოქსიტოცინის ეფექტების რეალიზაციაში უნდა მონაწილეობდეს ესტრადიოლი [2, 3]. სწორედ მასთან უნდა იყოს დაკავშირებული მდედრებში ოქსიტოცინის შედარებით უფრო გამოხატული ანქსიოლიტური მოქმედება.

ლიტერატურა

1. Ferris C.F. Novartis Found Symp., 2005, 268, 190-198.
2. Jezova D., Jurankova E., Mosnarova A., Kriska M., Skultetyova I. Neuroendocrine Response During Stress with Relation to Gender Differences. Acta Neurobiol. Experimentalis, 1996, 56, 779-785.
3. Kosfeld M. Nature, 2005, 435, 673-676
4. Richard P., Moos F., Freund-Mercier M.J. Physiol. Rev., 1991, 71, 331-370.
5. Windle R., Shanks N., Lightman S., Ingram C. Endocrinology, 1997, 138, 2829-2834.

ЭФФЕКТ ОКСИТОЦИНА НА ПАРАМЕТРЫ ПСИХОЭМОЦИОНАЛЬНОГО ПОВЕДЕНИЯ: ГЕНДЕРНОЕ РАЗЛИЧИЕ

Э. Мониава, Н. Букия, М. Буцхрикидзе

Институт физиологии им. И.С. Бериташвили, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Был изучен эффект окситоцина на параметры психоэмоционального поведения крыс обоего пола, в условиях “открытого поля”. Наблюдения проводились в одно и то же время – с 11 до 13 часов. Регистрировались следующие параметры психоэмоционального поведения: вхождение в центр, поднятие головы, количество пересеченных квадратов и вертикальных стоек, продолжительность груминга, количество боллюсов и рефлекс “норки”.

Эксперименты проводились на беспородных крысах весом 200-220 г. Животных содержали в стандартных условиях. Как самки, так и самцы были разделены на две группы: контрольная и экспериментальная. Для установления роли окситоцина на параметры психоэмоционального поведения, использовали синтетический окситоцин (Gedeon-Richter), который вводили интраперитонеально в дозе 8 мкг, в течение 5 дней. Животных тестировали на шестой день, через 15-20 минут после введения окситоцина. Животным контрольной группы вводили физиологический раствор. Для статистической обработки данных использовали t-критерий Стьюдента.

Было показано, что окситоцин оказывает различное действие на психоэмоциональный статус животных обоего пола, в частности, увеличивает локомоторную активность и снижает реакцию страха у самок крыс, по сравнению с самцами. Можно предположить, что окситоцин имеет седативное, анксиолитическое влияние.

EFFECT OF OXYTOCIN ON PSYCHOEMOTIONAL PARAMETERS OF BEHAVIOR IN RATS: GENDER DIFFERENCES

E. Moniava, N. Bukia, M. Butskhrikidze

I. Beritashvili Institute of Physiology, Tbilisi

SUMMARY

The effect of oxytocin on psychoemotional behavior of rats of both sexes has been studied. Animals were housed in laboratory cages with food and water *ad libitum*. Behavioral testing was performed during 5 minutes, at the same time between 11.00 am and 1.00 pm. The number of crossed sections, center entering, head rising, vertical standing, grooming frequency and fecal boluses were recorded. The experiments were carried out in male and female rats, weighing 200-220 g. The animals were divided into two groups. In experimental group oxytocin (Oxytocin, Gedeon Richter, Hungary) was injected intraperitoneally (8 mcg per animal) during 5 days. On the sixth day the animals were investigated in the open field 15-20 minutes after oxytocin injection. Animals of the control group were injected with isotonic saline. Student's t-test was used for statistical evaluation of the data.

As seen from the data obtained oxytocin has a selective effect on the emotional state of animals of both sexes. Oxytocin injection significantly increases a locomotor activity and decreases fear emotion in female rats as compared to male ones. We suppose that oxytocin has most anxiolytic effect on female rats and its effect might be mediated by sex hormone.

რადიაციის და მალიგნიზაციის პროცესის ურთიერთკავშირი

ქ. მურჯიანელი, თ. გოგინაძე, ვ. გოგინაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 15.03.2008

სტატიაში განხილულია ლიტერატურის მონაცემები, მიძღვნილი რადიაციისა და მალიგნიზაციის ურთიერთკავშირის საკითხისადმი. ცნობილია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაიონიზებული რადიაცია ხელს უწყობს სიმსივნეების განვითარებას. განსაკუთრებულ კანცეროგენულ საფრთხეს მცირე და საშუალო დოზები წარმოადგენს. სტატიაში მოყვანილია ნორმალური სომატური ქსოვილის ავთვისებიანად ტრანსფორმაციის შესაძლო მექანიზმი რადიაციის ზემოქმედების შემდეგ. კანცეროგენეზის I სტადიაზე, უჯრედების პერფორირებულ პლაზმურ მემბრანებთან შერწყმის შემდეგ წარმოიქმნება ორბირთვიანი უჯრედი, ხოლო შემდეგ, კარიოგამიის შედეგად – ერთბირთვიანი პიბრიდული უჯრედი – პრეკანცეროზული სინკარიონი. სუბუჯრედულ და მოლეკულურ დონეზე მთელი რიგი გარდაქმნების შემდეგ, ეს უჯრედი შეიძლება ტრანსფორმირდეს ნამდვილ სიმსივნურ სინკარიონად.

საკვანძო სიტყვები: რადიაცია, მალიგნიზაცია, სინკარიონი, კარიოგამია

როგორც ცნობილია, ავთვისებიანი ტრანსფორმაციის გამომწვევენი არიან ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფაქტორები – უამრავი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური აგენტი, რომელთა რაოდენობაც გამუდმებით იზრდება. ამ აგენტების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია პროფილაქტიკის ეფექტური მეთოდები, პირველ ყოვლისა, “პროფესიული კიბოს” წინააღმდეგ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კანცეროგენური ნივთიერებებისა და ზემოქმედებების უმეტესი ნაწილი ანთროპოგენურია. მითუმეტეს, რომ XX საუკუნის 40-იანი და 50-იანი წლების მიჯნაზე მათ დაემატა ისეთი მძლავრი ანთროპოგენური ფაქტორი, როგორცაა ატმოსფეროში მიმდინარე ბირთვული აფეთქებები. ამ შემთხვევაში მაიონიზებული რადიაციის მომატებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც ბიოსფეროს დაზიანება, ასევე ავთვისებიანი სიმსივნეების და გენეტიკური დაავადებების სიხშირის მნიშვნელოვანი ზრდა.

სხვადასხვა კანცეროგენური ფაქტორებიდან ერთ-ერთი ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის რადიაციაა. მასზე საუბრისას რადიოლოგებს მხედველობაში აქვთ მხოლოდ მაიონიზებული გამოსხივება, რომელსაც

ატომების იონიზაციისთვის საკმარისი ენერგია გააჩნია. იონიზაციის პროცესის არსი მდგომარეობს ნეიტრალური ატომებიდან თუ მოლეკულებიდან ერთი მოლეკულის "მოწყვეტაში", რის შედეგადაც ისინი გარდაიქმნება დადებითად დამუხტულ იონებად. მაიონიზებელ გამოსხივებას გააჩნია როგორც ელექტრომაგნიტური, ასევე კორპუსკულური ბუნება. ელექტრომაგნიტურმა ველებმა, შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში ხელი შეუწყოს სიმსივნეების წარმოქმნას [6].

XX საუკუნის 80-იან წლებში დადგინდა აეთვისებიანი სიმსივნეების სისშირისა და 30-50 ჰც ელექტრომაგნიტური ველის პირდაპირი კორელაციური კავშირი [7, 8]; კანცეროგენური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საშიშია რადიაციის დაბალი და საშუალო დოზები [1, 5].

უჯრედის და მისი კომპონენტების დაზიანებაში მონაწილეობას იღებს მაიონიზებელი გამოსხივების როგორც პირდაპირი, ასევე ე.წ. ირიბი (არაპირდაპირი) მოქმედების მექანიზმები. ზოგ შემთხვევაში რადიაციას ძალუძს მაკრომოლეკულებში (ცილებში, ნუკლეინის მჟავებში) გამოიწვიოს მათი პირველადი სტრუქტურის დარღვევა, ცილებში ცალკეული ამინომჟავების, ხოლო ნუკლეინის მჟავებში ნუკლეოტიდების დაზიანება, რასაც შეიძლება ზოგ შემთხვევაში მოჰყვეს უჯრედის დესტრუქცია, ხოლო სხვა შემთხვევაში – მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებანი გენეტიკურ აპარატში. როგორც ეტყობა, მაიონიზებელი გამოსხივება მნიშვნელოვნად უნდა აზიანებდეს უჯრედების პლაზმურ მემბრანებს, იწვევს რა მათში სხვადასხვა ზომების პერფორაციებს, რაც ერთ შემთხვევაში უჯრედების ლიზისს, ხოლო სხვა შემთხვევაში არასიცოცხლისუნარიანი პოლიკარიოციტების და ონკოლოგიური პოტენციის მქონე დიკარიონების წარმოქმნის წინაპირობა შეიძლება გახდეს. საერთოდ, რადიაცია 3 სახის დაზიანებას იწვევს: 1. დასხივების უშუალო ზემოქმედების შედეგად განვითარებულ სხეულის სომატურ დაზიანებებს; 2. დარღვევებს სომატურ უჯრედებში, რაც შესაძლებელია რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოვლინდეს იმავე ორგანიზმში; 3. გენეტიკური ხასიათის დარღვევებს სასქესო უჯრედებში, რაც მხოლოდ მომდევნო თაობებში გამოვლინდება. თუ კაცობრიობა არ გაითვალისწინებს ამ უდიდეს ხიფათს და არ შეეცდება მის სრულიად თავიდან აცილებას ან მისი მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას, იგი დიდი განსაცდელის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს!

ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე განიცდის ბუნებრივი რადიაციის ზემოქმედებას. რაც არ უნდა კეთილსინდისიერად იყოს გაკეთებული იზოლაცია, გემებისა და თვითმფრინავების მგზავრები მაინც იღებენ კოსმოსური სხივების სხვადასხვა დოზებს. ბუნებრივი რადიაცია რეგისტრირებულია თვით ადამიანის სხეულშიც კი. რაც უფრო მაღლა ცხოვრობს მოსახლეობა ზღვის დონიდან, მით უფრო ძლიერია მასზე მზის ინსოლაცია და აქტიური კოსმოსური სხივების ზემოქმედება. რადიაციული ფონი დიდად განსხვავდება დედამიწის ზედაპირზე: გრანიტს გაცილებით უფრო მაღალი რადიოაქტიურობა ახასიათებს, ვიდრე ბაზალტს. იმ ნიადაგში, სადაც ურანი ან თორიუმი, რადიაციული ფონი განსაკუთრებით მაღალია.

ბუნებრივი რადიაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი მძიმე გაზი რადონი. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, რადონის დასხივების ძირითად დოზას ადამიანი დახურულ შენობებში იღებს. დადგენილია, რომ რადონის კონცენტრაცია დახურულ შენობებში დაახლოებით 8-ჯერ უფრო მაღალია ღია ადგილებთან შედარებით. ხვდება რა შენობებში საძირკვიდან და იატაკიდან, რადონის კონცენტრაცია მნიშვნელოვან მანქვებლებს აღწევს. უფრო იშვიათად რადონი გამოიყოფა სახლის კონსტრუქციებისთვის გამოყენებული მასალებიდან. გამოირკვა, რომ შენობების გათბობის მიზნით ჩატარებული ჰერმეტიზაცია სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს. ყველაზე უფრო გავრცელებული სამშენებლო მასალები – ხე-ტყე, აგური და ბეტონი შედარებით ნაკლებ რადონს გამოყოფს. გაცილებით უფრო მაღალი რადიოაქტიურობის მტარებელი აღმოჩნდა გრანიტი და პემზა. სხვა სამშენებლო მასალებმა კი მეცნიერებს, მშენებლებს და, ბუნებრივია, ამ მასალებიდან აგებული სახლების მაცხოვრებლებს ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. მაგალითად, ათეული წლების განმავლობაში შვეციაში ბეტონის დასამზადებლად იყენებდნენ აყალო მიწას (თიხამიწას), რომლის მეშვეობით აშენებულ იქნა 350-700 ათასამდე სახლი. მეცნიერებმა სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინეს აყალო მიწის ძალზე მაღალი რადიოაქტიურობა, რის გამოც მისი გამოყენება ბეტონის დასამზადებლად სრულიად შეწყდა. ასევე მაღალი რადიოაქტიურობით ხასიათდება წითელი თიხისგან დამზადებული აგური, ნაცრის მტვერი, რომელიც ნახშირის დაწვის შედეგად წარმოიქმნება და ა.შ. [6].

ბუნებრივი რადიაციის წარმომადგენელია აგრეთვე ულტრაიისფერი სხივები. მცირე დოზებით ულტრაიისფერი სხივები აუცილებელიც კი არის ადამიანისთვის. კერძოდ, ისინი ხელს უწყობენ ორგანიზმში D ვიტამინის წარმოქმნას. რაც შეეხება იმ ულტრაიისფერ სხივებს, რომელთა ტალღის სიგრძე 0,290 მკმ-ზე ნაკლებია, ისინი დამლუპველად მოქმედებენ ყველა ცოცხალ არსებაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სიცოცხლე დედამიწაზე მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ამ სახის გამოსხივებას აკავენ ე.წ. ოზონის ეკრანი. ტანსაცმელთან ერთად სწორედ ოზონის ეს ფენა იცავს ადამიანის კანს როგორც ამ ტიპის ულტრაიისფერი სხივების, ასევე კოსმოსური გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან. ოზონის ეკრანი ატმოსფეროს შემადგენელი ნაწილია და მდებარეობს დაახლოებით 15-35 კმ სიმაღლეზე. სწორედ აქ თავისუფალი ჟანგბადი მზის რადიაციის გავლენით გარდაიქმნება ოზონად, რის შედეგად წარმოიქმნება ოზონის ეკრანი. ოზონის ფენის სისქე ეკვატორზე, პოლუსებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში ოზონის ფენის ბედი მეცნიერებაში სერიოზულ შემფოთებას იწვევს. მკვლევართა უმეტესობის აზრით, ბირთვულმა აფეთქებებმა, ზებგერითი ავიაციის ანდა აეროზოლების მასიურმა გამოყენებამ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს ოზონის შემცველობა, რისი შედეგიც შეიძლება გახდეს ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობის ზრდა დედამიწაზე. დადგენილია, რომ ზებგერითი თვითმფრინავები, კოსმოსური ხომალდები აზიანებენ ოზონის ეკრანს, ხოლო მისი რეპარაცია მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობს. აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ ულტრაიისფერი სხივების მაღალი დონე, ჰდამიანთან და ცხოველთა სამყაროსთან ერთად, საფრთხეს უქმნის აგრეთვე მცენარეულ სამყაროსაც!

ამრიგად, ოზონის ეკრანის წყალობით დედამიწის ზედაპირს გრძელი ულტრაიისფერი სხივების (0,300-0,400 მკმ) მცირე ნაწილი თუ აღწევს. მათ მაღალი ქიმიური აქტიურობა ახასიათებთ და არც თუ იშვიათად ხდებიან სხვადასხვა ლოკალიზაციისა და პისტოგენეზის სიმსივნეების განვითარების უშუალო მიზეზი. რაც უფრო მაღალია ულტრაიისფერი სხივების აქტიურობა, მით მეტია კანის კიბოსა და მელანომების განვითარების რისკი, განსაკუთრებით ღია თეთრი ფერის კანის მქონე პირებსა და ქერათმიანებში!

1895 წლის 8 ნოემბერს ვილჰელმ კონრად რენტგენმა (1845-1923) აღმოაჩინა, ხოლო იმავე წლის 28 დეკემბერს მსოფლიოს ამცნო ახალი, ცოცხალ ქსოვილებში შემღწვევადი სხივების არსებობის შესახებ. ამ სხივებს, იგივე X-სხივებს, მალე მათი აღმოჩენის სახელი ეწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რენტგენის სხივებს უკავშირდება ცოცხალ სისტემებში რადიაციის მიერ გამოწვეული პირველი დაზიანებები. 1895 წელს ვ. რენტგენის თანაშემწემ ვ. გრუბემ რენტგენის სხივებთან მუშაობის პროცესში მიიღო ხელების სხივური დამწვრობა, ხოლო უკვე 1902 წელს გამოჩნდა პირველი ცნობა კანის კიბოს თაობაზე, რომელიც რენტგენის სხივების ზემოქმედების შედეგად განვითარდა.

1896 წლის 1 მარტს რადიოაქტიურობის მოვლენა აღმოაჩინა ანრი ბეკერელმა (1852-1908), რაც შეისწავლეს მარია სკლადოვსკაია-კიურიმ (1867-1934) და პიერ კიურიმ (1850-1906). მათ აღმოაჩინეს რამდენიმე რადიოაქტიური ელემენტი – მათ შორის პოლონიუმი და რადიუმი. პოლონიუმს დაარქვეს მარია სკლადოვსკაიას სამშობლოს, პოლონეთის სახელი, ხოლო რადიუმი ნიშნავს “სხივიანს”. აქედან გამომდინარე, მთელ მოვლენას დაერქვა რადიოაქტიურობა.

ჩვენ რამდენიმე სიტყვით უკვე შევეხეთ სხვადასხვა სახის გამოსხივებების დამაზიანებელ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, მითუმეტეს, რომ რენტგენის სხივების აღმოჩენისთანავე, რენტგენოთერაპია გამოყენებულ იქნა სამკურნალო მიზნებისთვის, კერძოდ, ონკოლოგიაში. საერთოდ, რადიოაქტიურობის გამოკვლევისა და რენტგენის აპარატების სამკურნალო მიზნებით გამოყენების გარიჟრაჟზე, ექიმები, მეცნიერები და მომსახურე პერსონალი გამოსხივების წინააღმდეგ თავდაცვის არავითარ საშუალებებს არ იყენებდნენ! და ეს მიუხედავად ჩვენი შესანიშნავი თანამემამულის, ცნობილი მეცნიერის ი. თარხნიშვილის რეკომენდაციისა და მის მიერ დამცველი ეკრანის გამოგონებისა! სამწუხაროდ, თავდაცვის ასეთ უგულვებელყოფას და გაუფრთხილებლობას ბევრი მეცნიერი შეეწირა მსხვერპლად! როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1911 წლისთვის რენტგენის სხივების ზემოქმედების შედეგად აღირიცხა განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნეების მნიშვნელოვანი რაოდენობა. 1930 წ. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებიდან დაადასტურა რენტგენის სხივების ონკოგენური პოტენციალი. კერძოდ, დადგინდა, რომ ლეიკემიების სიხშირე რენტგენოლოგ-გინეკოლოგებში

შეადგენდა 4,7%-ს, ხოლო სხვა სპეციალობის ექიმებში – მხოლოდ 0,5%-ს. პამპურგში 1936 წელს აღმართეს მონუმენტი, რომელზეც 169 მეცნიერისა და ინჟინრის სახელი იყო ამოტვიფრული. ისინი მსხვერპლად შეეწირნენ რენტგენის სხივებსა და რადიუმზე ჩატარებულ პირველ ექსპერიმენტებს. ამ რიცხვს სამწუხაროდ ზრდის ტენდენცია აღმოაჩნდა. ასე, მაგალითად, 1941 წელს აღნიშნულ მემორიალს დაემატა კიდევ ორი ძეგლი 17 მსხვერპლის სახელით, ხოლო 1959 წლისთვის ე.წ. “სსონის წიგნში” უკვე 350 გვარი აღინიშნებოდა.

დღესდღეობით შემუშავებულია ტექნიკური პროცედურების მთელი წყება, რომელთა სწორი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება რენტგენოლოგიური გამოკვლევებისა თუ რენტგენოთერაპიის დროს მიღებული დოზის მნიშვნელოვანი შემცირება [2].

სხვადასხვა სახის დასხივების პირდაპირი ზემოქმედების გარდა, სიმსივნური პროცესის განვითარებას შესაძლებელია ხელი შეუწყოს ორგანიზმში რადიოაქტიური იზოტოპების მოხვედრამაც. მაგალითად, რადიუმი აღწევს ძვლებში, იქ ლაგდება და არღვევს ძვლოვანი ქსოვილის სტრუქტურას. ეს კი შესაძლებელია გახდეს სიმსივნეების და ლეიკემიების განვითარების წინაპირობა. ონკოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით სახიფათონი არიან: სტრონციუმ-90, ცეზიუმ-137, ნახშირბადი-14, ფოსფორი-32, იოდი-131, პლუტონიუმ-239 და სხვ.

1945 წელს ამერიკელთა მიერ ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ, ხიროსიმაში მცხოვრები 450000 ადამიანიდან 100000-ზე მეტი აფეთქებისთანავე დაიღუპა; გადარჩა ეპიცენტრიდან 2 კმ-ზე მყოფი პირების დაახლოებით 50%. იმ ადამიანებს, რომელთაც აფეთქებამ ეპიცენტრიდან 2-4 კმ მანძილზე მოუსწრო, ჩვეულებრივ აღინიშნებოდა ლეიკოციტების, კერძოდ, ლიმფოციტების რაოდენობის მხოლოდ დროებითი დაქვეითება. ყველას, ვინც კი გადაურჩა ამ საშინელებას (მიუხედავად ეპიცენტრიდან მათი დაშორებისა), მომავალში ემუქრებოდა თმის ცვენა, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, კატარაქტა, იმპოტენცია, სიმსივნეებისა და ლეიკემიის განვითარება. სამწუხაროდ, ასეთივე ბედი ელის მათ შთამომავლობასაც [3].

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში (1986 წელი) მომხდარი ტრაგედიის სრული მასშტაბი მხოლოდ ესლა დადის ჩვენს ცნობიერებამდე! უამრავი შემზარავი ფაქტი დანაშაულებრივად იქნა მიჩქმალული და მხოლოდ 1990 წელს თვით რუსმა მეცნიერებმა ამ ტრაგედიას კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე მომხდარი უდიდესი კატასტროფა უწოდეს! აღნიშნული კატასტროფის შედეგად გამოსხივებული ენერგია რამდენიმე ათასჯერ აღემატებოდა ხიროსიმასა და ნაგასაკიში აფეთქებული ბომბის სიმძლავრეს. თუ იაპონიის ამ ქალაქებში მომხდარი ტრაგედიის მასშტაბებს მოდელად ავიღებთ, მნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რა გველოდება მომავალში. მითუმეტეს, რომ საქართველო ჩერნობილში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზიანებული ქვეყნებიდან “საპატიო” მე-4 ადგილზეა უკრაინის, ბელორუსიის და რუსეთის შემდეგ.

მაინც რაში უნდა მდგომარეობდეს ნორმალური სომატური უჯრედის სიმსივნური ტრანსფორმაციის მექანიზმი? რა საერთო გააჩნიათ ისეთი

განსხვავებული ბუნების კანცეროგენებს, როგორებიცაა: ქიმიური ნივთიერებები, სხვადასხვა სახის გამოსხივებები, ვირუსები, ტოქსინები და ა.შ. როგორც ეტყობა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი, პირველ ყოვლისა, მოქმედებს სომატური უჯრედების პლაზმურ მემბრანებზე და მათში პერფორაციების წარმოქმნას იწვევს, რაც უჯრედების შერწყმის წინაპირობა უნდა იყოს. შერწყმის ანუ ფუზოგენიის შედეგად წარმოიქმნება ორბირთვიანი უჯრედი (დიკარიონი), რომელიც შემდგომში, კარიოგამიის შედეგად გარდაიქმნება ერთბირთვიან ჰიბრიდულ უჯრედად, იგივე პრეკანცეროზულ სინკარიონად. ეს უკანასკნელი სუბუჯრედულ და მოლეკულურ დონეებზე მიმდინარე მთელი რიგი გარდაქმნების შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტ სიმსივნურ სინკარიონად [4].

ლიტერატურა

1. *გოგინაძე ვ., მისაბიშვილი ვ., გოგინაძე თ.* საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე, 2005, №4, 503-506.
2. *Акоев И.Г.* Биофизика познает рак. 1987.
3. *Балаж А.* Биология опухолей. Сомнения и надежды. 1987.
4. *Гогичадзе Г.К.* Соматическая гибридизация и механизм злокачественной трансформации клеток.
5. *Berendsen C.W.* Radiat. carcinogenesis, New York. 1987, 85-105.
6. *Breston M.S. et al.* Bioelectromagnetics, 1988, 9, 3, 207-213.
7. *Ennis I.R.* Radiol Prot Bull, 1987, 87, 6-10.
8. *Hecht I.* New Sci., 1987, 113, 1543, 20.
9. Radiation, Doses, Effects, Risks. United Nations Environment Programme. UNEP, 1985.

О ВЗАИМОСВЯЗИ РАДИАЦИИ С ПРОЦЕССОМ МАЛИГНИЗАЦИИ

К. Мурджикиели, Т. Гогичадзе, Г. Гогичадзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Известно, что ионизирующее излучение в некоторых случаях может способствовать развитию опухолей. Особенную канцерогенную опасность представляют малые и средние дозы. В статье представлен возможный механизм злокачественной трансформации нормальной соматической клетки после воздействия радиации. На I стадии канцерогенеза, после слияния клеток с перфорированными плазматическими мембранами возникает двуядерная клетка, а затем, после кариогамии – одноядерная гибридная клетка – преканцерозный синкарион. После ряда превращений на субклеточном и молекулярном уровнях, такая клетка может трансформироваться в истинный опухолевый синкарион.

ON THE INTERRELATION OF RADIATION WITH MALIGNIZATION PROCESS*K. Murjikneli, T. Gogichadze, G. Gogichadze*

Tbilisi State Medical University

SUMMARY

A correlation between radiation and malignization processes has been studied. It was shown that in some cases radiation may promote development of tumors. Particularly, weak and middle doses appear to be a high carcinogenic danger. In this article a possible mechanism of malignant transformation of normal somatic cell after exposure of radiation is presented. On the I stage of carcinogenesis after the fusion of cells with perforated plasma membranes, two-nuclei cells appear and then, after caryogamy a mononuclear hybrid cell – precancerous syncaryon was formed. After some conversions on subcellular and molecular levels, this cell may transformed into true cancer syncaryon.

არიტმიების მკურნალობის ძირითადი პრინციპები

*შ. ბეტრიაშვილი, ლ. გაბუნია, ნ. ბეჟიტაშვილი, დ. ქანთარია,
ლ. შანიძე*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 03.04.2008

არიტმიების მკურნალობის ტაქტიკას და მიმართულებას ძირითადად განსაზღვრავს მისი წარმოშობისა და განვითარების მიზეზები, რაც შეიძლება იყოს პიოპქსია, ელექტროლიტური ბალანსის დარღვევა, მიოკარდიუმის იშემია, მედიკამენტები და ა.შ.

მკურნალობის შერჩევის დროს არიტმიების კლინიკური გამოვლინებების გარდა ითვალისწინებენ გულის ორგანული დაზიანების ხარისხს, QT – ინტერვალის სიგანეს წამლების მიღებამდე, გამტარებლობის დარღვევას, აგრეთვე ექსტრაკარდიულ პათოლოგიას; არიტმიის ზუსტი დიაგნოსტიკების მიზნით პაციენტს უტარებენ ხანგრძლივ ეკგ გამოკვლევას. რიტმის დარღვევის ნორმალუზებისათვის ვიყენებთ ანტიარიტმიულ საშუალებებს სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფებიდან – სხვადასხვა ელექტროფიზიოლოგიური მემბრანული ეფექტებით. თანამედროვე კარდიოლოგების მიერ აღიარებულ იქნა E.Vaughan-Williams-ის მიერ შემუშავებული ანტიარიტმიული საშუალებების კლასიფიკაცია.

დღესდღეობით არიტმიების ფარმაკოთერაპიის თვალსაზრისით ძალიან ბევრი პრობლემა გადაუჭრელია. კერძოდ, რიტმის დარღვევის რეზისტენტული ფორმების მკურნალობა, ამიტომაც აქტუალურია ძიება ახალი, მაღალეფექტური პრეპარატების (ნაკლები გვერდითი ეფექტებით) ან სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფების ანტიარიტმიული საშუალებების კომბინირების შესაძლებლობები.

საკმაოდ დაგროვდა კლინიკური კვლევების მონაცემები, რომლებიც გვაფრთხილებს იმ საშიშროებებზე, რაც შეიძლება დაუსაბუთებულმა ანტიარიტმიულმა თერაპიამ გამოიწვიოს, ამიტომაც ხშირად საუბარია არიტმიების არამედიკამენტოზურ მკურნალობაზე. მაგ., სიცოცხლისათვის საშიში არითმიების განვითარების მაღალი რისკის შემთხვევაში ეფექტურია სიმპლანტაციო დეფიბრილაციონების გამოყენება. ანტიარიტმიული საშუალებებიდან მხოლოდ ბეტა-ადრენობლოკატორებს (შედარებით უფრო ნაკლებად ამიოდარონს) აღენიშნებათ უეცარი სიკვდილის რისკის შემცირება. მიმდინარეობს კვლევები გენეტიკურ, მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე, რომლებიც განაპირობებენ ჩვენი წარმოდგენების განვითარებას გულის რიტმის დარღვევის სხვადასხვა მექანიზმების შესახებ. შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული კვლევები დაგვეხმარება ისეთი ახალი ანტიარიტმიული საშუალებების შექმნაში, რომლებიც მკაცრად განსაზღვრული სპეციფიკურობით იმოქმედებენ ამა თუ იმ მექანიზმის მქონე არიტმიებზე.

საკვანძო სიტყვები: არიტმია, წინაგულების ციმციმი, წინაგულების თრთოლვა, WPW სინდრომი, QT-ინტერვალი, ანტიარიტმიული თერაპია, ამიოდარონი, β-ადრენობლოკატორი

ევროპის მოსახლეობის 38% დაავადებულია გულის რიტმის სხვადასხვა დარღვევით. მათ შორის 18% ლეტალური გამოსავლით მთავრდება, დარჩენილი 20% კი ძირითადად მთელი სიცოცხლის განმავლობაშია დაავადებული შედარებით მსუბუქი ფორმით, თუმც, არც თუ იშვიათია ასეთ პირებში არიტმიის გართულება გულის სხვა დაავადებებით და ამ შემთხვევაში უკვე ლეტალობას არა უშუალოდ არიტმია, არამედ მისგან გამოწვეული კარდიული პათოლოგიები თუ გართულებები იწვევს.

პრეპარატები, რომლებიც მოქმედებს გულის ელექტროფიზიოლოგიურ თვისებებზე, ხასიათდება მცირე თერაპიული სარკმელით. ძალიან ბევრი ანტიარიტმიული საშუალება თვითონ იწვევს არიტმიებს, რომლებიც ხშირად ძნელად ექვემდებარება ჩვეულებრივ ანტიარიტმიულ მკურნალობას და შეიძლება ლეტალური გამოსავლითაც კი დამთავრდეს

არიტმიები ხშირად ვითარდება ჰიპოქსიის, ელექტროლიტური ბალანსის დარღვევის (განსაკუთრებით ჰიპოკალიემიის დროს), მიოკარდის იშემიის დროს, გარდა ამისა, არიტმია შეიძლება იყოს მედიკამენტოზური. ანტიარითმიული საშუალებების და საგულე გლიკოზიდების გარდა არითმიები შეიძლება პროვოცირებული იყოს სხვა პრეპარატებითაც, მაგ., თეოფილინი ხშირად იწვევს პოლიტოპურ წინაგულოვან ტაქიკარდიას, რომელიც იხსნება პრეპარატის დოზის შემცირების შედეგად [8].

გულის რიტმის დარღვევა შეიძლება გამოვლენილ იქნას მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად. მაგრამ ფაქტი ასეთი დარღვევების შესახებ ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მათი მოხსნის აუცილებლობას, რაც დასაბუთებულ იქნა CAST (Cardiac Arrhythmias Suppression Trial – ანტიარიტმიული თერაპია მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ) – კვლევების საფუძველზე. ცნობილია, რომ პაციენტებში მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანის შემდეგ ხშირი პარკუტოვანი ექსტრასისტოლია ნიშანია უეცარი სიკვდილის გაზრდილი რისკის პარკუტოვანი ფიბრილაციის გამო. ზემოთ აღნიშნულმა კვლევებმა მოგვცეს საშუალება გაგვეკეთებინა მნიშვნელოვანი დასკვნა: არიტმიას უნდა ვუმკურნალოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი პაციენტის მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. უკვე აღარ არის საკამათო ის, რომ, აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი არიტმიების კუპირება, რომლებიც განაპირობებენ ჰემოდინამიკურ დარღვევებს და სხვა გართულებებს. მაგრამ არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ არითმიის ხანგრძლივი მედიკამენტოზური პროფილაქტიკის და მკურნალობის ეფექტურობას აჭარბებს გართულებების რისკი. ყველა ანტიარიტმიული საშუალებებიდან მხოლოდ ბეტა-ადრენობლოკატორები და შედარებით უფრო ნაკლებად ამიოდარონი ამცირებს სიკვდილიანობას ხანგრძლივი ხმარების შემთხვევაში [4, 9].

მკურნალობის მიზნის დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სახეზე გვაქვს თერაპიის რამდენიმე ვარიანტი. მაგ., პაციენტისთვის, რომელსაც აღენიშნება მოციმიმე არითმია, არსებობს მკურნალობის სამი შესაძლო ვარიანტი: 1) პარკუტა შეკუმშვის სისხირის შემცირება იმ საშუალებებით, რომლებსაც აღენიშნებათ უარყოფითი დრომოტროპული მოქმედება – საგულე გლიკოზიდები, ვერაპამილი, დილთიაზემი, ბეტა-

ადრენობლოკატორები; 2) აღვადგინოთ და შევინარჩუნოთ სინუსური რითმი ისეთი პრეპარატებით, როგორიც არის ქინიდინი, ფლეკაინიდი ან ამიოდარონი; 3) მკურნალობაზე უარის თქმა, თუ რეალურად არიტიმია უსიმპტომოდ მიმდინარეობს. გარდა ამისა, მოციმციმე არითმიის დროს მიზანშეწონილია ანტიკოაგულანტების გამოყენება თრომბოემბოლიური გართულებების თავიდან ასაცილებლად [5, 11].

მკურნალობის შერჩევის დროს არიტიმიების კლინიკური გამოვლინებების გარდა ითვალისწინებენ გულის ორგანული დაზიანების ხარისხს, QT-ინტერვალს წამლების მიღებამდე, გამტარებლობის დარღვევას, აგრეთვე ექსტრაკარდიულ პათოლოგიას; WPW სინდრომის ფონზე მოციმციმე არიტიმია პარკუჭების შეკუმშვათა სიხშირე შეიძლება იყოს ძალიან მაღალი, ამიტომაც რეაქცია პრეპარატებზე, რომლებსაც აღენიშნებათ უარყოფითი დრომოტროპული მოქმედება (საგულე გლიკოზიდებზე და კალციუმის ანტაგონისტებზე), შეიძლება იყოს პარადოქსული – შეკუმშვათა სიხშირის კიდევ უფრო გახშირება. აღწერილია შემთხვევები, როდესაც ამგვარ მკურნალობას პაციენტი მიჰყავდა სიკვდილამდე.

მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია განისაზღვროს, როგორ ხშირად და კანონზომიერად ვითარდება არიტიმიები, – უკიდურეს შემთხვევაში ძნელი გასაგები იქნება, მკურნალობას ჭეშმარიტად მივყავართ თუ არა რიტმის გაიშვიათებისკენ. ამისთვის პაციენტს უტარებენ ხანგრძლივ მკბ გამოკვლევას. გარდა ამისა, სრული გამოჯანსაღების მიღწევა არ წარმოადგენს აუცილებლობას, მაგ., მოციმციმე არიტიმიის პაროქსიზმების საგრძნობი შემცირება შეიძლება პაციენტისთვის შეუმჩნეველი დარჩეს [17].

ანტიარითმიული საშუალებების არიტმოგენულმა მოქმედებამ თვითონ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლისთვის საშიში არიტიმიების განვითარება, ამიტომაც მკურნალობის დანიშვნის წინ აუცილებლობას წარმოადგენს ზუსტი დიაგნოზის დასმა. მაგ., ვერაპამილის დანიშვნა პარკუჭოვანი ტაქიკარდიის დროს არათუ არაეფექტურია, არამედ შეიძლება მიგვიყვანოს შოკამდე [16].

იმისთვის რომ შევამციროთ გვერდითი ეფექტების განვითარების რისკი, განსაზღვრული დაავადებების დროს თავი უნდა ავარიდოთ კონკრეტული პრეპარატების გამოყენებას. მაგ., დიჰოპირამიდი განსაკუთრებით ხშირად იწვევს შოკს გულის უკმარისობიან პაციენტებში. ძალიან ხშირად გვერდითი ეფექტები ძნელად შეიძლება გავარჩიოთ არსებული დაავადების გართულებებისგან. მაგ., ამიოდარონი იწვევს პნევმოსკლეროზს. პაციენტებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ ფილტვების რაიმე ქრონიკული პათოლოგია, მსგავსი გართულება შეიძლება სასიკვდილოც კი იყოს, ამიტომაც უკეთესი იქნება, თუ მათ ამიოდარონს არ დავუნიშნავთ [14].

ამგვარად, არიტიმიის განვითარებისკენ მივყავართ არა მარტო მიოკარდიუმის ფუნქციის დარღვევას მექანიკური თუ ორგანული ხასიათის დაზიანების შედეგად, არამედ სხვადასხვა ფუნქციურ, ნერვულ ან ნეიროჰუმორულ დარღვევებს, ამიტომაც რიტმის დარღვევების ნორმალიზებისთვის ვიყენებთ ანტიარითმიულ საშუალებებს სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფებიდან – სხვადასხვა ელექტროფიზიოლოგიური მემბრანული ეფექ-

ტებით. არც ერთს ამ პრეპარატებიდან არ ახასიათებს აბსოლიტური სპეციფიკურობა ანუ ამორჩევითი ელექტროფიზიოლოგიური მოქმედება. თანამედროვე კარდიოლოგების მიერ აღიარებულ იქნა E.Vaughan-Williams-ის მიერ შემუშავებული ანტიარითმიული საშუალებების კლასიფიკაცია (1992).

დღესდღეობით ძალიან ბევრი პრობლემა ანტიარითმიული თერაპიის თვალსაზრისით გადაუჭრელია, კერძოდ, რიტმის დარღვევის რეზისტენტული ფორმების მკურნალობა, ამიტომაც აქტუალურია ახალი, მაღალეფექტური პრეპარატების (ნაკლები გვერდითი ეფექტებით) ძიება ან სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფების ანტიარითმიული საშუალებების კომბინირების შესაძლებლობები [2].

ანტიარითმიული საშუალებების კლასიფიკაცია E.Vaughan-Williams (1992)

I კლასი

ქვეკლასი IA – აიმალინი (გილურითმალი)*, დიზოპირამიდი, პროკაინამიდი (ნოუოკაინამიდი), ქინიდინი

ქვეკლასი IB – ლიდოკაინი, მექსილეტინი

ქვეკლასი IC – ლაპაკონტი (ალაპინინი)*, მორიციზინი (ეთმოზინი)*, პროფაფენონი, ფლეკაინიდი, ეტაციზინი*

კლასი II

ბეტა-ადრენობლოკატორები – პროპრანოლოლი

კლასი III

აზიმელიდი*, ამიოდარონი, ბრეტილიუმი, დოფეტილიდი, დრონედარონი*, იბუტილიდი, ნიბენტანი*, სოტალოლი

კლასი IV

კალციუმის ანტაგონისტები (ვერაპამილი, გალოპამილი, დილთიაზემი)

*-ით აღნიშნული პრეპარატები არ არის ორიგინალურ ცხრილში, მათი გამოყენება მხოლოდ რუსეთში არის მიღებული

არასრული ეფექტურობა და კონკრეტული ანტიარითმიული საშუალებებით მკურნალობის სერიოზული შეზღუდვები გვაძლევს ასოციაციას ანალოგიაზე სხვა დაავადებების მკურნალობის დროს, როდესაც თუნდაც ყველაზე საუკეთესო პრეპარატიც კი არ გვაძლევს სასურველ ეფექტს სხვა სამკურნალო საშუალებებთან კომბინირების გარეშე, რომლებიც ხასიათდება განსხვავებული სტრუქტურით, მოქმედების მექანიზმით და წარმოაგენს სხვა ფარმაკოლოგიურ ჯგუფს [1]. კარგად დოკუმენტირებულია და საყოველთაოდ ცნობილია კომბინირებული თერაპიის უპირატესობა მონოთერაპიასთან შედარებით სხვადასხვა ინფექციების, სისხლის ათვისების დაავადებების, სიმსივნეების, არტერიული ჰიპერტონიის, გულის იშემიური დაავადების, გულის უკმარისობის და სხვა დაავადებების დროს. გულის რითმის დარღვევის თერაპიაში ანტიარითმიული საშუალებების კომბინირებული გამოყენება, სამედიცინო ლიტერატურული მონაცემებიდან გამომდინარე, არის იშვიათობა და ამასთან მიმართებაში არსებობს აზრთა

სხვადასხვაობა. ძალიან ბევრი მეცნიერი კლინიციისტი წინააღმდეგია ანტი-
არიტმიული საშუალებების დასაბუთებული მიზანმიმართული კომბინირე-
ბული გამოყენების, მაშინ როცა სხვა მკვლევარები, პირიქით, ხაზს უსვა-
მენ კომბინირებული ანტიარიტმიული თერაპიის სერიოზულ უპირატესობას
მონოთერაპიასთან შედარებით [6].

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო პრაქტიკაში ანტიარიტმიული საშუა-
ლებების კომბინირებული გამოყენება დაკავშირებულია იმასთან, რომ უმეტეს
ნივთიერებებს გააჩნია არცთუ ისე ფართო თერაპიული ფანჯარა და იმ
დოზებში, რომელიც აუცილებელია არიტმიების კუპირებისთვის, იწვევს
არასასურველ გვერდით ეფექტებს. ხშირად კომბინაციისთვის გამოიყუ-
ნება ანტიარიტმიული საშუალებების სხვადასხვა კლასების წარმომად-
გენლები [11].

იყენებენ რა კომბინირებულ ანტიარიტმიულ თერაპიას, თავის კვლე-
ვებში მეცნიერები, როგორც წესი, ეფექტურობის თვალსაზრისით მას
ადარებენ მონოთერაპიას. მაგ., П.В. Заделя-მ (1996 წ.) შეარჩია არითმიებით
დაავადებული ისეთი პაციენტების კონტინგენტი, რომლებიც იყვნენ რეზის-
ტენტულები სხვადასხვა კლასის ანტიარიტმიული საშუალებებით მონო-
თერაპიის მიმართ. მან შეისწავლა ანტიარიტმიული საშუალებების ოთხი
კომბინაცია: ქინიდინი და ეთმოზინი, ქინიდინი და ვერაპამილი, კორდა-
რონი და ეთმოზინი, კორდარონი და რითმილენი. ანტიარიტმიული ეფექტი
აღინიშნათ პაციენტების 60%-ს [2].

E.B. Leachy et al. (2000) გვაუწყებენ მიოკარდიუმის ინფარქტის ფონზე პა-
როქსიზმული ტაქიკარდიის უშედეგო მონოთერაპიაზე ქინიდინით, ნოვოკაინ-
ნამიდით, დიზოპირამიდით, პროპრანოლოლით, მექსილეტინით მკურნალო-
ბის დროს. ზოგ შემთხვევაში აღინიშნა არათუ უეფექტობა, არამედ ტოქსი-
კური ეფექტების განვითარება აღინიშნა, რაც პრეპარატების დაუყოვნებელ
მოხსნას მოითხოვდა. მხოლოდ მექსილეტინის და პროპრანოლოლის კომბი-
ნირებული გამოყენების შემდეგ აღინიშნა პარაკუტოვანი ტაქიკარდიის სრული
კუპირება, ხოლო ექსტრასისტოლების რაოდენობა შემცირდა 80%-ით [12, 18].

ლიტერატურაში არის მონაცემები ქინიდინისა და პროპრანოლოლის
კომბინაციის ეფექტურობის შესახებ ექსპერიმენტული კვლევების დროს.
B.R. Madan, V.K. Pendse და J.W. Lawson, N.I. Wojciechowsky და სხვათა მონ-
აცემების საფუძველზე, ძაღლებში გულის რიტმის დარღვევის (წინაგუ-
ლოვანი არიტმიების დროს) ექსპერიმენტული მოდელირების შემთხვევაში
აღინიშნა ზემოთ დასახელებული ანტიარიტმიული საშუალებების კომბინა-
ციის მაღალეფექტურობა, ვიდრე იყო მონოთერაპიის შემთხვევაში [13].

ზოგიერთი ავტორები ანტიარიტმიული საშუალებების კლასიფიკაციაში
I (მემბრანოსტაბილიზატორების) და III კლასის (K^+ -ის არხების ბლოკატო-
რების) პრეპარატების კომბინაცია წარმოადგენს არაეფექტურ და საშიშ
კომბინაციას, რაც თვითონ განაპირობებს სიცოცხლისთვის საშიში არიტ-
მიების განვითარებას კპზ-ზე QT-ინტერვალის ზედმეტად გაზრდის გამო,
ხოლო A. Hoffman et al., პირიქით, იყენებდნენ რა, კორდარონის და ქინი-
დინის, აგრეთვე კორდარონის და მექსილეტინის კომბინაციას, აღნიშნა-
დნენ საუკეთესო შედეგებს მონოთერაპიის მიმართ რეზისტენტული არიტ-

მიების მკურნალობის შემთხვევაში [10, 11]. A.Waleffe et al. მივიდნენ დასკვნამდე, რომ პარკუჭოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდიის მკურნალობაში მექსილეტინისა და ამიოდარონის კომბინაცია აღმოჩნდა საკმარისად ეფექტური. მათ კვლევებში ზემოთ აღნიშნული კომბინაციით მკურნალობის ფონზე 6 თვის განმავლობაში არც ერთხელ არ განვითარდა პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევა [18]. A. Абдулла და H.A. Mazyр შეისწავლეს კორდარონისა და ანტიარითმიული საშუალებების I კლასის სხვადასხვა პრეპარატების კომბინაციების ეფექტურობა არითმიების მკურნალობის თვალსაზრისით. მათი კვლევის საგანს წარმოადგენდნენ პაციენტები, რომელთა 70%-ში არ აღინიშნა დადებითი შედეგი მონოთერაპიის შედეგად. ზემოთ აღნიშნული კომბინაციების გამოყენების შემთხვევაში აღინიშნა გაცილებით მაღალი ეფექტურობა და ამტანობა, ვიდრე მონოთერაპიის შედეგად [1].

ანტიარითმიული საშუალებების კლასიფიკაციის IA და IV (Ca^{2+} -ის პოტენციალდამოკიდებული არხების ბლოკატორები) კლასის პრეპარატების კომბინაციებიდან განსაკუთრებით კარგად არის შესწავლილი ქინიდინისა და ვერაპამილის კომბინაცია როგორც წინაგულოვანი, ასევე პარკუჭოვანი არითმიებისა და ექსტრასისტოლების დროს და, რაც მთავარია, სხვადასხვა ავტორები აღნიშნავენ ამ კომბინაციის მაღალ ანტიარითმიულ აქტივობას [3]. სამედიცინო სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება მონაცემები აგრეთვე ვერაპამილისა და ბეტა-ადრენოლოკატორების კომბინირებული გამოყენების ანტიარტიმიული ეფექტურობის შესახებ.

ლიტერატურული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა გულის რიტმის დარღვევის კომბინირებულ თერაპიას. სწორედ კომბინირებული ანტიარითმიული თერაპია და კომბინირებული ანტიარითმიული საშუალებების შექმნა წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას თანამედროვე კარდიოფარმაკოთერაპიაში.

დღესდღეობით თანამედროვე მსოფლიოში წინაგულების ციმციმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებული არიტმიის სახეს. იგი შეადგენს საერთო არითმიების 40%-ს და ამავე დროს პირველი ადგილი უჭირავს გულის რიტმის დარღვევის გამო ჰოსპიტალიზაციის საერთო წილში. წინაგულების ციმციმი ხასიათდება თრომბოემბოლიური გართულების მაღალი რისკით. წინაგულების ფიბრილაციის თერაპიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სინუსური რიტმის აღდგენა და შენარჩუნება, ამასთანავე თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკა, რასაც ასაბუთებს AFFIRM (The Atrial Fibrillation Follow-up Investigation of Rhythm Management) და RACE (Rate Control versus Electrical Cardioversion for persistent atrial fibrillation) კვლევები. უკანასკნელი კვლევების შედეგებმა გვიჩვენა, რომ წინაგულების ფიბრილაციის პერსისტული ფორმების მკურნალობაში სინუსური რიტმის აღდგენასა და შენარჩუნებაში განსაკუთრებული ეფექტურობა გამოიჩინა პრეპარატმა პროპაფენონმა [11].

2001 წლის აგვისტოში ამერიკის კარდიოლოგთა კოლეგიის ექსპერტებმა, ამერიკის "გულის ასოციაციამ" და ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციამ გამოაქვეყნეს ერთობლივი რეკომენდაციები მოციმციმე არტიმით დაავადებული პაციენტების მკურნალობის შესახებ. ამ რეკომენდაციებში დაწვრი-

ლებით განიხილება მოციმციმე არითმიის კლასიფიკაციის, ეტიოლოგიის, პათოგენეზის და მკურნალობის საკითხები, რაც გადახდილ იქნა 2006 წელს, რის შედეგად მკურნალობაში უპირატესობა მიენიჭა სინუსური რიტმის აღდგენის, მისი შენარჩუნების (ფარმაკოლოგიური კარდიოვერსიის შემდეგ) და თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკის კონცეფციებს. რეკომენდაციებში აგრეთვე აქცენტირებულია კათეტერული აბლაციის მეთოდების გამოყენების ეფექტურობა წინაგულების ციმციმის შემთხვევაში [15].

წინაგულების ციმციმი (V3) შეიძლება შერწყმული იყოს წინაგულების თრომბოვასთან (V0), რაც მეტად საშიშ მდგომარეობას წარმოადგენს და რაც შეიძლება გამოწვეულ იქნას თვით ანტიარითმიული საშუალებების მიერ, რომლებსაც იყენებენ წინაგულების ციმციმის შეტყვის პროფილაქტიკისთვის. V3 და V0 ორივე წარმოადგენს სუპრვენტრიკულურ არითმიებს, რომელთა ეტიოლოგია, პათოგენეზი და მკურნალობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. V3 ძირითადად გენერირდება მარცხენა წინაგულში “micro-reentry”-ის ტიპის წრიული ტალღების შექმნით, ხოლო V0 ვითარდება უფრო ხშირად მარჯვენა წინაგულში, რომლის დროსაც წარმოიშობა ერთი “macro-reentry”-ის ტიპის ტალღა. ზემოთ აღნიშნული საზოგადოებების ექსპერტები თავიანთ რეკომენდაციებში რატომღაც იგნორირებას ახდენენ V0 და V3-ს შორის პრინციპული განსხვავებებს, ამიტომაც ფარმაკოლოგიური კარდიოვერსიის თვალსაზრისით ისინი ურჩევენ პრეპარატ – იბუტილიდს (K^+ -ის არხების ბლოკატორი, ანტიარითმიული საშუალებების III კლასი); თუმცა იგი რეალურად ეფექტურია მხოლოდ V0-ის დროს და ნაკლებეფექტურია V3-ის დროს [7].

დღესდღეობით გაფართოვდა წარმოდგენები გულის ელექტრული აქტივობის შესახებ როგორც ნორმის, ასევე პათოლოგიის დროს და, აგრეთვე, დაგროვდა კლინიკური კვლევების მონაცემები, რომლებიც გვაფრთხილებს იმ საშიშროებებზე, რაც შეიძლება დაუსაბუთებელმა ანტიარითმიულმა თერაპიამ გამოიწვიოს. ყველასთვის ცნობილია, რომ ანტიარითმიული საშუალებების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება მთელი რიგი გართულებები განავითაროს, ამიტომაც ხშირად საუბარია არითმიების არამედიაკამენტოზურ მკურნალობაზე. მაგალითად, სიცოცხლისთვის საშიში არითმიების განვითარების მაღალი რისკის შემთხვევაში (პარკუჭების ფიბრილაციის გადატანის შემდეგ) ეფექტურია საიმპლანტაციო დეფიბრილატორების გამოყენება. ზემოთ განხილული პრეპარატებიდან მხოლოდ ბეტა-ადრენობლოკატორებს (შედარებით უფრო ნაკლებად ამიოდარონს) აღენიშნება უეცარი სიკვდილის რისკის შემცირება; ხოლო რაც შეეხება ანტიარითმიული საშუალებებიდან იონურ არხებზე მოქმედ საშუალებებს, მათ თვით აღენიშნებათ ართიმოგენული მოქმედება [9]. მიმდინარეობს კვლევები გენეტიკურ, მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე, რომლებიც განაპირობებს ჩვენი წარმოდგენების განვითარებას გულის რიტმის დარღვევის სხვადასხვა მექანიზმების შესახებ. შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული კვლევები დაგვეხმარება ისეთი ახალი ანტიარითმიული საშუალებების შექმნაში, რომლებიც მკაცრად განსაზღვრული სპეციფიკურობით იმოქმედებენ ამა თუ იმ მექანიზმის მქონე არითმიებზე.

ლიტერატურა

1. *Абдалла А., Мазур Н.А. и соавт.* Кардиология, 1998, 2, 42-46.
2. *Забелла П.В.* Фармакол. и токсикол., 1996, 5, 62-63.
3. *Нестеренко В.В. и соавт.* Кардиология, 1990, 3, 81-87.
4. *CAST Investigators.* N. Engl. J. Med., 1989, 321, 406-412.
5. *Connolly S.J.* Circulation, 2000, 100, 2025-2034.
6. *Diffi C.E. et al.* Am. Heart J., 2003, 106, 3, 450-458.
7. *Fuster V., Ryden L.E., Asinger R.W. et al.* Eur. Heart J., 2001, 22, ???
8. *Goodman and Gilman's Pharmacological Basis of Therapeutics.* Tenth edition. McGraw Hill. Medical Publishing Division. 2006, 2, 718-7499.
9. *Greager M.A., Jones D.W., Easton J.D. et al.* Circulation, 2004, 109, 2634-264.
10. *Hoffman A. et al.* Lancet, 1993, 1, 8326, 704-705.
11. *Kochiadakis G.E., Igoumenidis N.E., Hamilos M.I. et al.* Chest, 2004, 125 (2), 377-83.
12. *Leachy E.B. et al.* Brit. Med. J., 2001, 281, 357-358.
13. *Madan B.R., Pendse V.K. et al.* 1997, 225, 2, 287-293.
14. *Mason J.W.* N. Engl. J. Med., 1987, 316, 455-466.
15. *Morady F.* N. Engl. J. Med., 1999, 340, 534-544.
16. *Naccarelli G.V., Wolbrette D.L., Khan M. et al.* Am. J. Cardiol., 2003, 91, 15-26.
17. *Trappe H.J., Berent R., Weismuller P.* Curr. Opin. Crit. Care, 2003, 9, 345-355.
18. *Waleffe A. et al.* Am. Heart J., 2000, 100, 6, 788-793.

ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ ЛЕЧЕНИЯ АРИТМИИ

Ш. Петриашвили, Л. Габуния, Н. Бежиташвили, Д. Кантария, Л. Шанидзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Тактика лечения аритмии, в основном, определяется причинами развития и происхождения аритмии, которыми могут быть гипоксия, нарушения электролитного баланса, ишемия миокарда, лекарственные средства и т.д.

Для определения курса лечения, кроме клинических проявлений, предусматривают степень органических повреждений, широту QT-интервала на ЭКГ до приема препаратов, нарушение проводимости, а также экстракардиальную патологию. Для нормализации ритмических нарушений мы применяем антиаритмические средства из разных фармакологических групп, различающиеся электрофизиологическими мембранными эффектами. Современные кардиологи предпочитают применение классификации антиаритмических средств по E.Vaughan-Williams (19992). В настоящее время очень многие проблемы, связанные с лечением аритмии, являются нерешёнными (например, лечение резистентных форм нарушений ритма), поэтому становится актуальным поиск новых, высокоэффективных средств с минимальными побочными эффектами или возможность комбинирования антиаритмических препаратов из различных фармакологических групп.

Есть множество клинических исследований, предупреждающих об опасностях, которые могут быть вызваны неподтверждённой антиаритмической терапией. Поэтому часто говорят о немедикаментозном лечении аритмии, например, при риске возникновения опасных для жизни аритмий, при которых эффективным является употребление имплантационных

დეფიбриляторов. Из антиаритмических средств только у бета-адреноблокаторов (в меньшей степени у амиодарона) отмечено снижение риска внезапной смерти. В настоящее время проводятся исследования на генетическом, молекулярном и клеточном уровнях, которые дают дальнейшее развитие нашим представлениям о разных механизмах нарушения ритма сердца. Предполагается, что вышеописанные исследования будут способствовать созданию новых антиаритмических средств, специфическое действие которых будет направлено против аритмий с определёнными механизмами.

MAIN PRINCIPLES IN TREATMENT OF ARRHYTHMIA

Sh. Petriashvili, L. Gabunia, N. Bezhitashvili, D. Kantaria, L. Shanidze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The treatment tactics and direction of arrhythmia are determined by the reasons of its origin and development, which may be hypoxia, electrolyte balance upset, myocardial ischemia, drugs, etc.

While choosing the treatment, except the manifestation of clinical arrhythmias, the level of organic heart damage, QT – the interval width before medication, the failure of conduction also extracardial pathology are considered. In order to make an accurate diagnosis of arrhythmia, the patient undergoes long-term ECG investigation. To normalize the rhythm disturbances antiarrhythmic remedies from different pharmacological groups are used. With the help of various electrophysiological membrane effects, modern cardiologists recognized classification of antiarrhythmic remedies by E. Vaughan-Williams.

At present, too many problems, referring to arrhythmia pharmacotherapy, are unsolved especially the treatment of persistent forms of arrhythmia. That's why it's very actual to find new, highly effective preparations (with less side-effect) or various antiarrhythmic remedies combining possibilities of different pharmacological groups.

A lot of clinical research has been gathered, that warns us against the danger that may be caused by unproved antiarrhythmic therapy. A lot is said about non-drug treatment, for example in case of arrhythmia with high risk for life, very useful is use of implanted defibrillators. Among antiarrhythmic remedies, only beta-adrenoblockers are characterized by a sudden death risk reduction. The research is performed on genetic, molecular and cellular levels, which determines the picture of heart rhythm failure mechanism. Above mentioned research may help to create new antiarrhythmic remedies, which will act with strictly limited specificity upon various mechanisms of arrhythmias.

ავთვისებიანი ზრდა და აპოპტოზი

გ. ყიფიანი, მ. თოფურაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 23.03.2008

სტატიაში განხილულია სიმსივნური უჯრედების პროგრამირებული სიკვდილის (აპოპტოზის) და სიმსივნეანი ორგანიზმის „ინტაქტურ“ ქსოვილთა უჯრედების პარანეოპლაზიური დარღვევის მექანიზმები, რომლებსაც ორგანიზმი გამოფიტვამდე და კახექსიამდე მიყავს. ხაზგასმულია ცილა p53-ის ინაქტივაციის როლი, რომლის ფუნქციაა გენომის სტაბილობის კონტროლი და აპოპტოზის ინდუქცია დნმ-ის შეუქცევადი დაზიანების შემთხვევაში. p53-ის ფუნქციური ინაქტივაცია, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ტრანსფორმირებული უჯრედის სიმსივნურად გარდაქმნას, მეორე მხრივ კი – უკვე წარმოქმნილი სიმსივნის პროგრესირებას.

ლიტერატურის და საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თვალსაზრისი სიმსივნისგან უშუალოდ დაზიანებული ქსოვილების აპოპტოზის გაძლიერების მექანიზმის შესახებ. ნაჩვენებია ამ პროცესში სიმსივნის ნეკროზული ფაქტორის (TNF) პროდუქციის და პეროქსიდაციური პროცესების პარანეოპლაზიური გაძლიერების ფრიად მნიშვნელოვანი როლი. აღნიშნულია TNF-ის წარმოქმნის და თავისუფალრადიკალური პროცესების ურთიერთდაკავშირებული ცვლილებები.

საკვანძო სიტყვები: სიმსივნე, აპოპტოზი, სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი, პეროქსიდაცია

ბუნებრივ ინტერესს იწვევს აპოპტოზის როლი ისეთ ტიპობრივ პათოლოგიურ პროცესში, როგორცაა ავთვისებიანი სიმსივნური ზრდა. მას ახასიათებს, ერთის მხრივ, თვით სიმსივნური უჯრედების აპოპტოზის შესუსტება ან არარსებობა, მეორე მხრივ კი, აპოპტოზის ინტენსივობის გაძლიერება ნეოპლაზიისგან უშუალოდ კონტაქტში არმყოფ უჯრედებში, ანუ აპოპტოზის გაძლიერება პარანეოპლაზიის დროს.

სიმსივნე (ბლასტომა, ნეოპლაზმა) – იმ უჯრედების მასაა, რომლებსაც აქვთ შეუზღუდავი და უკონტროლო გამრავლების გენეტიკურად პირობადებული უნარი. ავთვისებიანი სიმსივნე ქსოვილური ჰომეოსტაზის ისეთი ცვლილების შედეგია, რომელსაც საფუძვლად უდევს უჯრედების პროლიფერაციასა და აპოპტოზურ სიკვდილს შორის წონასწორობის დარღვევა. დნმ-დაზიანებული, მუტირებული გამრავლებადი უჯრედი დგას ალტერ-

ნატივის წინაშე: მოახდინოს დნმ-ის დაზიანების რეპარაცია ან თვითგანადგურების – აპოპტოზის გზით. ორგანიზმისთვის მეორე ვარიანტი უფრო უსაფრთხოა, რადგან დეფექტური უჯრედის შენახვა პოტენციურად სიმსივნური უჯრედების კლონის წარმოქმნის საშიშროებას ქმნის. აქედან გამომდინარე, ძნელია კანცეროგენების პათოგენეზში აპოპტოზის დარღვევის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. შეიძლება ითქვას, რომ ავთვისებიანი სიმსივნე ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დეფექტური უჯრედები შეძლებენ აპოპტოზის დამცავი ბარიერისგან „თავის დაღწევას“, როცა ისინი დაკარგავენ „თვითმოკვდინების“, აპოპტოზის, უნარს. „სიმსივნე – ეს დავიწყებული აპოპტოზია“ [8].

გამრავლების ასეთი მუხრუჭი გენები სუპრესორებია. ისინი ეწინააღმდეგება არაკონტროლირებად პროლიფერაციას, ასტიმულირებს რა გარდაქმნილი უჯრედების აპოპტოზს. ასეთ გენებს მიეკუთვნება ცილა p53 – გენომის “მთავარი მცველი”, გენები p16, p21 და სხვ. ნეოპლაზიური ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი პირობაა მუტაცია შეეხოს სწორედ ამ გენებს.

ცილა p-53 უადრესად კონსერვატულია – მას შეიცავს ცხოველთა სამყაროს მრავალი წარმომადგენლის ბირთვი. ეს ცილა დეფექტური აღმოჩნდა ადამიანის ავთვისებიან სიმსივნეთა უდიდესი ნაწილის უჯრედებში, მიუხედავად მათი წარმოშობის და ლოკალიზაციისა (ფილტვის, თავის ტვინის, საყლაპავის, მსხვილი ნაწლავის, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, ღვიძლის, ჰემოპოეზური და რეტიკულურ-ენდოთელური ქსოვილის სიმსივნეები და სხვ.).

p53-ის გავლენით ხდება შეცვლილი, ტრანსფორმირებული უჯრედების აპოპტოზი, რომელიც უშუალოდ ბირთვიდან ირთვება. p53-ის შემცველობა იზრდება ნორმალური უჯრედების დნმ-ის დაზიანებისას. მაგრამ გენი p53 მუტანტურია მრავალ სიმსივნურ უჯრედში (შესაძლოა – ყველაში), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის უჯრედის იმ ვირუსებით ინფიცირებით, რომელთა პროდუქტები ურთიერთქმედებენ p53-თან. ასეთი უნდა იყოს, მაგალითად, HPV ვირუსი, HBV და სხვ.

p53-ის დეფიციტის მქონე უჯრედებს ახასიათებს გენომის მზარდი არასტაბილობა. p53-ის ფუნქციური ინაქტივაცია, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ტრანსფორმირებული უჯრედის სიმსივნურად გარდაქმნას, მეორე მხრივ კი – უკვე წარმოქმნილი სიმსივნის პროგრესიას. სიმსივნურ გადაგვარებას იწვევს აგრეთვე Bcl-2-ის ჭარბი ექსპრესია, რაც ლიმფომებში აპოპტოზის დათრგუნვის მიზეზია.

უკანასკნელ წლებში მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს არა მარტო თვით მალიგნიზებული ქსოვილი, არამედ ის ცვლილებები, რომელიც ვითარდება სიმსივნის ორგანიზმში ნეოპლაზიისგან უშუალოდ დაზიანებულ ქსოვილებში, ორგანოებსა და სისტემებში. ყოველივე ეს ორგანიზმის და სიმსივნის რთული ურთიერთდამოკიდებულების შედეგია და საფუძვლად უდევს პარანეოპლაზიურ სინდრომებს, რომელთა რაოდენობა 50-ს აღწევს [1, 4, 11]. პარანეოპლაზიური სინდრომები არა სიმ-

სივრცითი ზრდის თანმხლები დაავადებებია, არამედ იმ ბიოლოგიური პროცესის კლინიკური გამოვლინებები, რომლებიც აღმოცენდება სიმსივნური ზრდის ზეგავლენით და იწვევს „სიმსივნური დაავადებების არასიმსივნურ სინდრომებს“. მათი ფორმები მრავალფეროვანია: იმუნოდეპრესია, ჰიპერკოაგულაციური სინდრომი, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა, მიკროცირკულაციის პათოლოგია, ანემია, დერმატოზების იშვიათი ფორმები, გლუკოზის მიმართ ტოლერანტობის დაქვეითება, ჰიპოგლიკემიური მდგომარეობა, ნევროლოგიური დარღვევები, კუნთური დისტროფია, კახექსია და სხვ. ითვლება, რომ პარანეოპლაზიური სინდრომების განვითარება დაკავშირებულია სიმსივნური უჯრედების მიერ სხვადასხვა ცილის, ჰორმონის ან ჯერ კიდევ უცნობი ნივთიერებების გამოთქმავებასთან. კარგადაა ცნობილი, რომ სიმსივნეები გამოიმუშავებს არაჰორმონულ ნივთიერებებსაც [1, 4, 11].

მათ შორის აღსანიშნავია სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი ე. წ. კახექტინი – ციტოტოქსიკური პოლიპეპტიდი TNF (Tumor Necrosis Factor). ის მაკროფაგებში სინთეზდება და ანთებით პროცესებში მონაწილეობს. ამ ნივთიერების მიმართ რეცეპტორს თითქმის ყველა სახის უჯრედი ფლობს. მისი მოქმედების ეფექტი მრავალფეროვანია: შოკური მდგომარეობა, არტერიული წნევის დაქვეითება, ლიპიდური და ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა, მეტაბოლური აციდოზი და სხვ. დღეს ნათლად იკვეთება TNF-ის მოქმედების კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ეფექტი – აპოპტოზის ინდუქცია [2, 5, 9]. TNF შეიძლება განვიხილოთ როგორც „აპოპტოზის მედიატორი“ [3]. უკანასკნელის შემოქმედება უჯრედზე ხორციელდება ე.წ. სიკვდილის რეცეპტორის საშუალებით (იხ. სქემა 1).


უჯრედის სიკვდილის რეცეპტორს (DR) ციტოპლაზმურ კუდში აქვს ე.წ. სიკვდილის დომენი (DD). ლიგანდის რეცეპტორთან ურთიერთქმედებისას რეცეპტორი განიცდის ტრიმერიზებას და წარმოქმნის მოლეკულურ კლასტერს – სიკვდილის სასიგნალო კომპლექსს.

TNF-ის შეკავშირება TNFR-რეცეპტორთან იწვევს მისი ციტოპლაზმური დომენის კონფორმაციას, რაც იძლევა FADD (Fas-associated death domain) ადაპტორული მოლეკულის ანალოგიურ დომენთან მისი მიერთების საშუალებას, შემდეგ კი RIP (Receptor interacting protein) ცილის დომენთან ურთიერთქმედების საშუალებას წარმოქმნილი კომპლექსი ააქტივებს კასპაზა-8-ს ან FLICE (FADD-like IL-1 β converting enzyme), რის შედეგად ჩაირთვება აპოპტოზი.

TNF α -ის TNFR1-თან შეკავშირებით სიგნალი შეიძლება გადაეცეს ადაპტორულ ცილას RIP-ის მეშვეობით, რაც კასპაზა-2-ის აქტივაციით და, აგრეთვე ჯერ კიდევ შეუსწავლელი მექანიზმებით აპოპტოზს იწვევს.

ყოველივე აღნიშნული პარანეოპლაზიის პათოგენეზში აქამდე უცნობი რგოლის შესაძლო არსებობაზე ვგაფიქრებინებს. TNF-ის კონცენტრაციის მატებამ, რაც დამახასიათებელია ავთვისებიანი სიმსივნის ზრდისთვის [4] უნდა გამოიწვიოს აპოპტოზური პროცესების გაძლიერება მთლიანად ორგანიზმში. ერთ-ერთი უხშირესი პარანეოპლაზიური სინდრომის – სიმ-


სიენური კახექსიის – განვითარების მექანიზმიც, სავარაუდოდ, სწორედ TNF-ით ინდუცირებული აპოპტოზის ინტენსივობის გაძლიერებაში უნდა იყოს. ეს სინდრომი სიმსიენიან ავადმყოფთა უმრავლესობაში გვხვდება და ახასიათებს სხეულის მასის მკვეთრი დაკარგვა, კუნთების ატროფია (მათ შორის გულის კუნთის), ანორექსია და სხვ. ექსპერიმენტში ცხოველებზე კახექსიის მოქმედებით ვითარდება ანორექსია და ორგანიზმის გამოფიტვა, რომელიც ძალიან გავს ავთვისებიანი სიმსიენის დროს განვითარებულ კახექსიას.



სქემა 1. აპოპტოზის ინდუქცია ბირთვიდან ღნმ-ის დაზიანების შემთხვევაში

ორგანიზმში აპოპტოზის პროცესის ინტენსივობის გაძლიერებით შეიძლება აიხსნას, აგრეთვე, ავთვისებიანი სიმსიენის დროს განვითარებული იმუნოდეპრესია, ვინაიდან იმუნოციტები განსაკუთრებით მგძნობარენი არიან აპოპტოზის ინდუქტორების მიმართ.

აპოპტოზის პროცესის ინტენსივობაზე სიმსივნური პროცესის ზემოქმედება კიდევ ერთი გზით ხორციელდება. ეს არის ოქსიდაციური სტრესი თავისუფალრადიკალური ჟანგვის გაძლიერებით.



სქემა 2. TNF-ასოცირებული აპოპტოზის მოლეკულური მექანიზმი

თსსუ-ის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტში (კათედრაზე) ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ ავთვისებიანი ზრდის პროცესში ორგანიზმში ვითარდება ჟანგვითი პროცესების სტერეოტიპული, უნივერსული ცვლილებები: ელექტრონების ტრანსპორტის ჯაჭვის დარღვევა მიტოქონდრიებში, ჟანგბადის აქტიური ფორმების გენერირების და სუპეროქსიდრადიკალების წარმოქმნის გაძლიერება, ვითარდება ოქსიდაციური სტრესი [3]. ეს კი აპოპტოზური პროცესის გაძლიერების ერთ-ერთი პირობაა. საკუთარი და ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე წარმოვადგენთ სქემას პარანეოპლაზიის მექანიზმში აპოპტოზის შესაძლო როლის შესახებ (იხ. სქემა 2).


თავისუფალი რადიკალები აპოპტოზის მედიატორებია, ისინი რთავენ აპოპტოზს უჯრედშიგა მექანიზმით, მიტოქონდრიის საშუალებით.

მიტოქონდრიიდან აპოპტოზური პროცესის ჩართვის მექანიზმი კვლევის და დისკუსიის საგნად რჩება. ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, განსაკუთრებულ პირობებში მიტოქონდრიის მემბრანის განვლადობა დროებით მატულობს, ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელია ე.წ. დროებითი განვლადობის ფორმის გაჩენა (დგვ). მათი სავარაუდო ლოკალიზაცია მიტოქონდრიის გარეთა და შიგნითა მემბრანების კონტაქტის ადგილზეა და იძლევა მატრიქსსა და ციტოპლაზმას შორის მოლეკულების, მათ შორის პროტეინების ცვლის საშუალებას.

ღმზ-ს გახსნის ერთ-ერთი წამყვანი მექანიზმი მიტოქონდრიის მატრიქსში Ca^{2+} -ის იონების კონცენტრაციის მომატებაა. მიტოქონდრიაში Ca^{2+} -ის იონების შესვლა ხორციელდება ტრანსმემბრანული იონური ცვლის გზით სპეციფიკური ტრანსლოკაზის საშუალებით, მემბრანის უარყოფითი გრადიენტის და pH-ის გავლენით. ოქსიდაციური სტრესის დროს Ca^{2+} -ის რაოდენობა მიტოქონდრიაში მატულობს, მისი გადამტანები გაჯერდება Ca^{2+} -ის იონებით, იხსნება ღმზ და Ca^{2+} გამოისროლება არხებიდან. გახსნილი ღმზ-იდან ხდება უშუალოდ იმ მიტოქონდრიული აპოპტოგენური ფაქტორების გამოთავისუფლება, რომლებიც მიტოქონდრიის მემბრანათა შორის სივრცეშია მოთავსებული. შედეგად უჯრედშიგა მექანიზმით ირთვება აპოპტოზი (იხ. სქემა 3).

ამრიგად, შემუშავებულია და, ნაწილობრივ, ფაქტორივად დადასტურებული პარანეოპლაზიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და მძიმე სინდრომის –

ორგანოების და ქსოვილების განლევის და, საზოგადოდ, მარაზმის განვითარების მექანიზმი. ნაჩვენებია, რომ ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს „აპოპტოზის მედიატორი“ – TNF-ის მიერ ინდუცირებული ტოტალური აპოპტოზის განვითარება ორგანოებსა და ქსოვილებში. TNF-ის ამგვარი ეფექტი რეალიზდება თავისუფალრადიკალური ჟანგვის მკვეთრი გააქტივების ფონზე, რომელიც ლიტერატურის და ჩვენი მონაცემებით დამახასიათებელია პარანეოპლაზიისთვის.



სქემა 3. პარანეოპლაზიური აპოპტოზის განვითარების მექანიზმი

მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ პარანეოპლაზიური აპოპტოზის მექანიზმში გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს, ერთი მხრივ, TNF-ის სიჭარბე, მეორე მხრივ, თავისუფალ-რადიკალური ჟანგვის გაძლიერება. ისმება ბუნებრივი კითხვა, არსებობს თუ არა კავშირი ორ უკანასკნელ პროცესს შორის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი თავად არის ჟანგბადის აქტიური ფორმირების ინიციატორი, მეორე მხრივ თავისუფალი რადიკალების ჭარბწარმოქმნა გარკვეული ბიოქიმიური კასკადის ჩართვის გზით ასტიმულირებს ციტოკინების, მათ შორის – TNF-ის წარმოქმნას.

ამრიგად, ავთვისებიანი სიმსივნური ზრდის დროს გამოვლენილია უჯრედების პარანეოპლაზიური აპოპტოზის განვითარების ერთმანეთთან დაკავშირებული მინიმუმ ორკომპონენტური მექანიზმი: TNF-ის რაოდენობის ზრდა და თავისუფალრადიკალური ჟანგვის გაძლიერება.

ცხადია, რომ სიმსივნური განლევის, მარაზმის მექანიზმში მხოლოდ ამ პროცესებით არ შემოიფარგლება. მაგრამ, ჩვენი აზრით, ის ერთ-ერთი უმთავრესია სიმსივნური მარაზმის და არა მარტო კახექსიის პათოგენეზში. ყოველ შემთხვევაში, ის გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს პარანეოპლაზიურ იმუნოდეპრესიაში, ნევროლოგიურ დარღვევებში.

სიმსივნური პროცესი

პარანეოპლაზია

მიტოქონდრია

$Ca^{2+}\uparrow$

ელექტრონების
 ტრანსპორტის დარღვევა

ოქსიდაციური სტრესი

$Ca^{2+}\uparrow$

მიტოქონდრიის დროებითი
 განვლადობის არხების გახსნას

მიტოქონდრიის აპოპტოზური ფაქტორების
 გამოთავისუფლება ციტოპლაზმაში

აპოპტოზი

სქემა 4. მიტოქონდრიული ფაქტორების როლი პარანეოპლაზიური აპოპტოზის განვითარებაში

ლიტერატურა

1. *Кавецкий П.Е.* Взаимодействие организма и опухоли. Киев, Наукова Думка, 1977.
2. *Маскалева Е.Ю., Северин С.Е.* Патофизиология и экспериментальная терапия, 2006, 3, 2-14.
3. *Топуридзе М.Л., Китиани В.А.* International Journal on Immunorehabilitation, 2001, 3, 126-127.
4. *Шанот В.С.* Патофизиология и экспериментальная терапия, 1976, 3, 312.
5. *Ярилин А.А.* Актуальные проблемы патофизиологии, 2001, 13-56.
6. *Ярилин А.А.* Актуальные проблемы патофизиологии, 1998, 2, 38-48.
7. *Dibbert B., Simon U.H.* Deutsch med. Wschr., 1997, 122, 523-526.
8. *Duke Von R.C., Ojcius D.M., Ding-E Young.* Spectrum der Wissenschaft, 1997, 2, 26-35.
9. *Gersuk G.M., Beckman C., Loken M.R., et al.* Brit. J. Haemat., 1998, 103, 176-188.
10. *Kerr J.F.R., Wyllie, Curie A.R.* Brit. J. Cancer, 1972, 26, 236-257.
11. *Kipiani V.* TSMU Annals of Biomed. Research and Education, 2004, 3, 240-270.
12. *Kromer G., Zamzani N., Susin S.A.* Immunol. Today, 1997, 18, 44-51.
13. *McConkey D.J., Zhivotovsky B., Orrenius S.* Molec. Aspects Med., 1996, 17, 1449-1456.

14. Rowan S., Fischer D.E. Leukemia, 1997, 11, 457-465.
15. Steller H. Science, 1995, 267, 1145-1149.
16. Waterhouse N.J., Green D.R. J. Clin. Immunol., 1999, 19, 378-387.
17. TSMU Annals of Biomedical Research and Education, 2004, 4, issue 1.

ЗЛОКАЧЕСТВЕННЫЙ РОСТ И АПОПТОЗ

В.А. Кипиани, М.Л. Топуридзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Подчеркивается роль инактивации белка p-53, функцией которого является контроль стабильности генома и индукции апоптоза при развитии необратимых нарушений ДНМ. Инактивация p-53 влечет за собой опухолевое перерождение трансформированной клетки, а с другой стороны – способствует прогрессии опухоли.

На основе анализа литературных и собственных данных представлены воззрения о механизмах усиления апоптоза в незадетых непосредственно опухолевым ростом тканях организма. Обращается внимание на весьма важную роль в этом процессе усиленного образования фактора некроза опухоли (ФНО) и паранеопластического усиления пероксидационных процессов. При этом, подчеркивается роль взаимосвязанных изменений образования ФНО и свободнорадикальных процессов.

APOPTOSIS AND CANCER GROWING PROCESS

V. Kipiani, M. Topuridze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The mechanisms of cancer cells death and paraneoplastic disorders of apoptosis, leading to the marasmus and cachexia are discussed.

The role of protein p-53 inactivation is underlined, the function of which is to control genom stabilisation and apoptosis induction while developing non-reversible damages of DNA. P-53 inactivation causes and involves cancer conversion of the transformed cell, and on the other hand – supports cancer progress, disorders of cancer cell apoptosis.

According to the literature and personal data, several points of views concerning the mechanisms of strengthening apoptosis in the body tissues, which are not involved in cancer growing process, are considered. It is reasonable to pay attention also to a very important role of intensive development of tumor necrosis factor (TNF) and paraneoplastic strengthening of peroxidation processes. At the same time, the role of releasing TNF and peroxidation processes that are deeply linked to each other are also underlined.

ერიტროციტების და ჰემოგლობინის ცვლილებათა როლი ჰიპოქსიის განვითარებაში I ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს

ვ. ყიფიანი, მ. კაცაძე, მ. ნამორაძე, დ. დელიბაშვილი,
ნ. ჭელიძე, ნ. ფხალაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 03.04.2008

კვლევის მიზანს შეადგენდა ერიტროციტების და ჰემოგლობინის თვისებების შესაძლო ცვლილებების შესწავლა ვირთაგვებზე ექსპერიმენტული დიაბეტის პირობებში (80 ცხოველი) და I ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში (75 პაციენტი).

მადალმგრძობიარე ფოტოელექტრო-კოლორიმეტრული დიფერენციალური და ფილტრაციულ-ფოტომეტრული მეთოდების გამოყენებით შესწავლილი იყო ერიტროციტების ოსმოსური რეზისტენტობა, მათი გაწოვის დრო ფილტრის ქალაღზე (მათი დეფორმაციის უკუპროპორციული სიდიდე).

ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში ხდებოდა ფოტოსპექტრომეტრულად. მიღებული მონაცემები მუშავდებოდა სტიუდენტის სტატისტიკური სარწმუნობის ტ-კრიტერიუმის გამოყენებით.

დადგინდა, რომ ვირთაგვებში ალოქსანური დიაბეტის პირობებში და, აგრეთვე, I-ტიპის დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებში ერიტროციტების როგორც რეზისტენტობა, ისე დეფორმაცია მკვეთრად შემცირებულია. ეს უკანასკნელი აუარესებს სისხლის დენადობას სისხლძარღვებში, რაც თავისთავად არღვევს მიკროჰემოდირეგულაციას და, ამასთან ერთად, ამცირებს ჰემოგლობინის ჟანგბად-გადამტან ფუნქციას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჰიპოქსიის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ჰიპოქსია, ერიტროციტი, ჰემოგლობინი, დიაბეტი

დედამიწის მოსახლეობაში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ავადმყოფობა – შაქრიანი დიაბეტი, რომლითაც დაავადებულია 150 მილიონამდე ადამიანი, კაცობრიობისთვის დღესაც მწვავე პრობლემად რჩება. ეს პირობადებულია როგორც ავადმყოფობის მაღალი სიხშირით, ისე იმ გართულებებით, რომლებიც შაქრიან დიაბეტს ახასიათებს და ამ დაავადებისას ინვალიდობის ან სიკვდილობის ძირითადი მიზეზებია.

შაქრიანი დიაბეტის გართულებებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მიკროჰემოდირეგულაციის პათოლოგიას და გენერალიზებულ ჰიპოქ-

სიას. ორივე მათგანის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის ჟანგბადგადამტანთა ცვლილება, მით უფრო ერთროციტების, რომელთა რთული და ნატიფი შენება განაპირობებს მათ ფუნქციურ თავისებურებებს, დენადობას უწვრილეს სისხლძარღვებში. ამიტომ ერთროციტის მემბრანის თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება ასახავს პოულობს მათ ფუნქციონაზე და სიცოცხლისუნარიანობაზე. ერთროციტებს არა მარტო გადააქეთ ჟანგბადი ქსოვილებამდე, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ სისხლის დენადობას და, აქედან გამომდინარე, ქსოვილების სისხლმომარაგებასაც. ეს, პირველ რიგში, პირობადებულია იმ ფაქტით, რომ ერთროციტების გარსის ცვლილებები ხშირად ამცირებს მათ რეზისტენტობას და ზრდის რეგილობას. შესაბამისად, ერთროციტების ცვლილებათა შესწავლა შაქრიანი დიაბეტის დროს საინტერესოა როგორც ჟანგბადის ტრანსპორტის საშუალების, ისე ქსოვილის მიკროჰემოდინამიკის ინტენსივობის ერთ-ერთი განმსაზღვრელის თვალსაზრისით. ცხადია, რომ ჟანგბადით ქსოვილთა მომარაგების თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ჰემოგლობინის სხვადასხვა ფორმის შემცველობაც სისხლში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის მიზნად დავისახეთ სისხლის ჟანგბადგადამტანების, კერძოდ, ერთროციტების თვისებების შესაძლო ცვლილებების და ჰემოგლობინის სხვადასხვა ფორმის შემცველობის დიდგენა I ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო I ტიპის შაქრიანი დიაბეტის დიამიკაში შეგვესწავლა ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობა, მათი დეფორმაციის უნარი და განვკუთხვარებოთ ჰემოგლობინის სხვადასხვა ფორმის პროცენტული შემცველობა სისხლში.

კვლევის მასალა და მეთოდები. გამოკვლევები ჩატარებულია: ა) 25 ჯანმრთელ და I ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 75 ადამიანზე, ბ) ალოქსანური დიაბეტით დასნებოვნებულ 250-300 გ წონის 80 ვირთავაზე.

ექსპერიმენტული კვლევისთვის შევარჩიეთ ალოქსანური დიაბეტის საყოველთაოდ აღიარებული მოდელი: ექსპერიმენტულ დიაბეტს ვიწვევდით ცხოველის კანქვეშ ალოქსანის 12%-იანი წყალხსნარის ერთჯერადი შეყვანით (დოზა - 170-190 მგ/კგ წონაზე) შაქრიანი დიაბეტის განვითარებაზე ვმსჯელობდით გლუკოზის შემცველობის განსაზღვრით კუდის ვენიდან მიღებულ სისხლში. საცდელი ცხოველები დაეყავით ხუთ ჯგუფად, თითოეულში 20 ცხოველის რაოდენობით, ხოლო საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა 20 ვირთავა. გამოსაკვლევ მასალას ვიღებდით ორგანიზმში ალოქსანის შეყვანიდან 6 და 48 სთ-ის შემდეგ და მე-15, 30-ე, მე-60-ე დღეს.

როგორც ადამიანის, ისე ვირთავების ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობა შეისწავლებოდა მათი ღიზისის კინეტიკის საფუძველზე, რომელიც დგინდებოდა მაღალმგრძობიარე ფოტოელექტრულ-კოლორიმეტრული დიფერენციული მეთოდით. კომპიუტერის ეკრანზე გამოხატული ერთროციტების დაშლის ამსახველი მრუდის საშუალებით ვადგენდით ერთროციტების ოსმომედეგობის ძირითად პარამეტრებს: T-ერთროციტების მაქსიმალური ჰემოლიზის და t-მაქსიმოლიზებელი აგენტის შეყვანიდან ჰემოლიზის დაწყებამდე გასული (სფერულაციის პერიოდი) დრო.

ერთროციტების მემბრანის დეფორმაციის უნარის გამოკვლევა ხდებოდა კომპიუტერული ფილტრაციულ-ფოტომეტრული მეთოდით. ერთროციტების დეფორმაბელობაზე ვმსჯელობდით მათი ფილტრზე განწოვის დროის მიხედვით, რომელიც დეფორმაბელობის უკუპროპორციული სიდიდეა.

სისხლში ჰემოგლობინის სხვადასხვა ფორმას ვსაზღვრავდით ფოტოსპექტრომეტრული მეთოდით, რომელიც ემყარება ულტრაიისფერი სხივების შთანთქმის ინტენსივობას ჰემოგლობინის მოლეკულის მიერ.

მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავებულ იქნა სტიუდენტის t-კრიტერიუმის გამოყენებით.

მიღებული შედეგები და მათი განხილვა. ცხრილში 1 მოყვანილია მონაცემები ვირთაგვების ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობის შესახებ ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა პერიოდში.

ცხრილი 1

ჯანმრთელი და ალოქსანური დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობა

საექსპერიმენტო ცხოველები		n	t (წმ)	T (წმ)
საკონტროლო ჯგუფი		20	78,0 ± 1,30 1	260,0 ± 4,50 2
დრო ალოქსანის შეყვანიდან	6 საათის შემდეგ	20	24,5 ± 0,90 3	107,7 ± 1,67 4
	48 საათის შემდეგ	20	53,0 ± 3,45 5	141,9 ± 3,40 6
	მე-15 დღე	20	53,0 ± 3,45 7	141,9 ± 3,40 8
	30-ე დღე	20	64,0 ± 1,03 9	17,1 ± 2,74 10
	მე-60 დღე	20	67,4 ± 1,28 11	173,7 ± 1,40 12

P: 1-3 < 0,001 2-4 < 0,001
 1-5 < 0,01 2-6 < 0,01
 1-7 < 0,02 2-8 < 0,01
 1-9 < 0,1 2-10 < 0,01
 1-11 < 0,1 2-12 < 0,1

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ალოქსანის შეყვანიდან 6 საათის შემდეგ ერთროციტების ოსმოსური მდგრადობა ქვეითდება: საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით ერთროციტების მაქსიმალური ჰემოლიზის დრო შემცირდა 59%-ით, ხოლო სფერულადობის დრო - 69%-ით.

მართალია, დაკვირვების მეორე პერიოდში (48 საათი) ერთროციტების მაქსიმალური ჰემოლიზის დადგომის დრო საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით მცირდებოდა, მაგრამ პირველ პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 31%-ით იყო გაუმჯობესებული. ამავე დროს, მაქსიმალური

აგენტის შეყვანიდან ჰემოლიზის დაწყებამდე გასული დრო 54%-ით მატულობდა წინა პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

ალოქსანის შეყვანიდან 48 საათის შემდეგ მიღებული შედეგები პრინციპულად არ განსხვავდებოდა ექსპერიმენტის მე-15 დღის მონაცემებისგან. ერთროციტების მაქსიმალური დაშლის ინტენსივობა და მაქსიმალური ჰემოლიზის დრო წინა პერიოდთან შედარებით სარწმუნოდ არ იცვლებოდა.

ექსპერიმენტის მეოთხე პერიოდში (30-ე დღე) ვლინდებოდა ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობის მახასიათებლებების გაუმჯობესების გარკვეული ტენდენცია, თუმცა ნორმასთან შედარებით მათი ოსმოდეგობა კვლავ სარწმუნოდ იყო შემცირებული. კერძოდ, მაქსიმალური ჰემოლიზის მაჩვენებელი ნორმასთან შედარებით 40%-ით და სფერულაციის დრო 11%-ით აღმოჩნდა შემცირებული.

ექსპერიმენტის მე-60-ე დღისთვის ერთროციტების მდგრადობა მაჰემოლიზებული ნივთიერების მიმართ საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით ქვეითდებოდა, რაზეც მეტყველებს მაქსიმალური ჰემოლიზის მაჩვენებლის 34%-ით შემცირება.

ამრიგად, ალოქსანური დიაბეტის დროს ცირკულირებადი ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობა ნორმასთან შედარებით შემცირებულია, რაც საკონტროლო მაჩვენებლებსა და ალოქსანის შეყვანიდან მე-60-ე დღეს მიღებულ მონაცემებს შორის მკვეთრი სხვაობით დასტურდება. მოყვანილი შედეგების 1 ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ერთროციტების რეზისტენტობასთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ერთროციტების ოსმოსური მდგრადობა ნორმასთან შედარებით დაქვეითებულია 20%-ით, რაც სტატისტიკურად სარწმუნოა.

ცხრილში 2 წარმოდგენილია მონაცემები ჯანმრთელი და ალოქსანური დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების ერთროციტების დეფორმაციის უნარის შესახებ, რომლის შესახებ ვმსჯელობდით დეფორმაციის შებრუნებული სიდიდის – ერთროციტების ფილტრზე განწოვის დროის მიხედვით.

როგორც ექსპერიმენტის შედეგებიდან ჩანს, ალოქსანური დიაბეტის ხუთივე დაკვირვებად პერიოდში ერთროციტების დეფორმაციის უნარი სარწმუნოდ აღმოჩნდა დაქვეითებული: ალოქსანის შეყვანიდან 6 საათის შემდეგ ერთროციტის ფილტრზე განწოვის დრო საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით მატულობდა 55%-ით, 48 საათის შემდეგ – 87%-ით ნორმასთან შედარებით. ალოქსანის შეყვანიდან მე-15-ე დღეს ერთროციტების ფილტრზე განწოვის დრო 10%-ით მცირდებოდა, თუმცა 78%-ით ჭარბობდა ნორმას. შემდგომ პერიოდში (30-ე დღე) ეს სიდიდე თითქმის არ იცვლებოდა წინა პერიოდთან შედარებით. დაკვირვების უკანასკნელი ვადისთვის (60-ე დღეს) ერთროციტის დეფორმებადობა მკვეთრად ქვეითდებოდა, რაც ვლინდებოდა ფილტრზე მათი განწოვის დროის 117%-ით მომატებით საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით.

1 ტიპის შაქრიანი დიაბეტით ავადმყოფებშიც ერთროციტების ფილტრზე განწოვის დრო საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ – 98%-ით გაზრდილი აღმოჩნდა, ანუ მათი დეფორმაციის უნარი მკვეთრად იყო დაქვეითებული.

ერთროციტების თვისებების კვლევის გარდა, შევისწავლეთ სისხლის უშუალო უანგბადგადამტანის – ჰემოგლობინის ცვლილებები. ალოქსანის შეყვანიდან 6 საათის შემდეგ სისხლში მეთემოგლობინის შემცველობა ნორმასთან შედარებით მკვეთრად მატულობდა, იზრდებოდა დეზოქსიჰემოგლობინის შემცველობაც, ოქსიჰემოგლობინის რაოდენობა კი მცირდებოდა.

ცხრილი 2

ჯანმრთელი და ალოქსანური დიაბეტით დასნებოვნებული ვირთაგვების ერთროციტების ფილტრზე განწოვის დრო, t (წმ)

საექსპერიმენტო ცხოველები	საკონტროლო ჯგუფი	ალოქსანის შეყვანიდან				
		6 საათი	48 საათი	მე-15 დღე	30-ე დღე	მე-60 დღე
n	20	20	20	20	20	20
t	2,85 ± 0,4	4,42 ± 0,18 p < 0,001	5,32 ± 0,21 p < 0,001	5,11 ± 0,23 p < 0,001	5,2 ± 0,5 p < 0,001	6,3 ± 0,3 p < 0,0001
ცვლილებების %	-	55%	87%	78%	82%	117%

